კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სალომე ტიკარაძე

საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა ყურუა

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

მედიაცია დავის გადაწყევტის ერთ-ერთი მეთოდია, რომელსაც უწოდებენ, როგორც „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“ ADR(Alternative Dispute Resolution). მედიაცია მოლაპარაკების პროცესია, სადაც ნეიტრალური პირი - მედიატორი - დაპირისპირებულ მხარეებს ან / და მათ წარმომადგენლებს ეხმარება მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში.

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, გამახვილებული იქნება ყურადღება, მედიაციის არსზე და მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით საოჯახო მედიაციაზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ასევე ქართულ, ევროპულ და ამერიკულ მოდელებზე. დავინახავთ იმ ეტაპებს, რაც აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებისთვის სხვადასხვა ქვეყნებმა განვლეს, როგორი იყო და არის დღესდღეობით საოჯახო მედიაცია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში. ასევე მედიაციის შედარება სხვა სხვა დავის გადაწყვეტის საშუალებასთან.

ნაშრომის მიზანია მედიაციის განვითარების საკითხების გაანალიზება, ასევე საოჯახო მედიაციის დადებითი მხარის წარმოჩენა, რათა საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

სალომე ტიკარაძე _____

თარიღი: 22.06.2019.

Annotation

Mediation is a form of alternative dispute resolution resolving disputes between two or more parties with concerte effects. Mediation is a interactive process where a neutral third party assists disputing parties in resolving conflict through the use of specialized communication and negotitation techniques.

In my master's degree I will pay attention to the meaning of Mediation and about its importance. Especially on a family mediation and about its advantages and disadvantages. Also I will discuss Georgian, European and American models of family mediation. I will talk about what those different countries did to improve things about family Mediation. I am going to talk about the comparison of family Mediation and the ways of how we fix the conflicts.

Master degree's main goal is to realize the importance of family Mediation and to show its advantages. I want it to be more acceptable to the society.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. მედიაციის ცნება და ისტორია 9

1.1. მედიაციის ცნება 9

1.2. მედიაციის წარმოშობა 11

1.3. მედიაციის განვითარების ისტორია 14

1.4. მედიაციის უპირატესობა დავის გადაწყვეტის სხვა ინსტიტუტთან მიმართებაში 17

თავი II. საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება 19

2.1. საოჯახო მედიაცია და მედიატორის როლი დავის განხილვის ალტერნატიულ საშუალებაში 19

2.2. საოჯახო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები 24

2.3. მედიაცია, როგორც მატერიალური და არამატერიალური რესურსების დაზოგვის საშუალება საოჯახო მედიაციაში 27

2.4. ადვოკატის და ნოტარიუსი მედიატორის როლი საოჯახო მედიაციის პროცესში 30

2.5. განქორწინების მედიაცია 33

თავი III. საოჯახო მედიაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი 38

3.1. საოჯახო მედიაცია საქართველოში 38

3.2. საოჯახო მედიაცია აშშ-ში 42

3.3. საოჯახო მედიაცია გერმანიაში 46

3.4. საოჯახო მედიაცია ავსტრიაში 48

3.5. საოჯახო მედიაცია საფრანგეთში 51

3.6. საოჯახო მედიაცია ინგლისში 53

დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 58

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში ხშირია დავა და კონფლიქტი, რის გამოც სასამართლოები გადატვირთულია სარჩელებით, რაც იწვევს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მეტ ფინანსურ დანახარჯებს. ხშირად სასამართლო განხილვისას კანონის ნორმათა და ინდივიდთა უფლებაზე დაყრდობით, მხარეთა რეალური ინტერესები რიგ შემთხვევებში უგულებელყოფილი რჩება, რის გამოც პროცესის მხარეებ რიგ შემთხვევებში უკმაყოფილონი რჩებიან. ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტას შედეგად არ მოსდევს კონფლიქტის ეფექტურად და სწორად გადაწყვეტა, ვინაიდან სასამართლო პროცედურა შემდგომში მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას. ე.ი. ხდება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ჩარევა ორ მხარეს შორის არსებულ კონფლიქტში.[1] წაგებული მხარე თითქმის ყოვეთვის უკმაყოფილოა და ცდილობს ხელი შეუშალოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, გამარჯვებული კი შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს სასამართლო პროცესის ხანგრძლივობისა და ფინანსური დანახარჯების გამო.

საუკუნეებია, ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადასაწყვეტად ადამიანები მიმართავენ სასამართლოს და ზუსტად ამდენივე ხანია იურისტები არ წყვეტენ ფიქრს დავის გადაწყვეტის ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი მეთოდების მოსაძიებლად. საზოგადოება მუდამ ძიებაში იყო დავის გადაწყვეტის ეფექტური გზების ძიებისაკენ, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს და მოერგებოდა მხარეთა რეალურ ინტერესებს.[2]

მართლმსაჯულების აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში დაიწყეს ფიქრი ისეთი ალტერნატიული საშუალებების შექმნის შესახებ, რომელიც მოდავე მხარეებს მისცემდა ოპტიმალური გამოსავლის მოძიების და მხარეთათვის მისაღები მორიგებით დავის დასრულების შესაძლებლობას. საბოლოოს არსებულ გამოწვევასთან გამკლავების ერთ-ერთ საშუალებად ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში გავრცელებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი - მედიაცია აღმოჩნდა.[3]

მედიაცია სასამართლოსა და დამოუკიდებელი არბიტრის ჩარევის გარეშე დავის მოგვარების ეფექტური საშუალებაა. ეს არის პროცესი, სადაც ნეიტრალური და კვალიფიციური მესამე პირი - მედიატორი ეხმარება მხარეებს მიიღონ ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, დავა მოაგვარონ სასამართლოსათვის გვერდის

---

[1] ს.მ. ოსტერმილერი. დ.რ. სვენსონი - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2014წ. გვ. 12.

[2] USAID-ქალი და უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი. ვიცოდეთ ჩვენი უფლებები. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ 2016წ. გვ 18.

[3] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 49.

ავლით. მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმება მეტად განხორციელებადია, რადგან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ძალისხმევითა და ნება-სურვილით მიაღწიეს შეთანხმებას, ცდილობენ დაიცვან ამ შეთანხმების პირობები.

მედიაციის ფართოდ გავრცელებას და დამკვიდრებას აქვს ობიექტური მრავალი წინაპირობა, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძვლებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვისა წარმოადგენს მისი თვალშისაცემი უპირატესობა ხარჯების და დროის დანახარჯის კუთხით, შესაბამისად, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მედიაცია იმკვიდრებს თავს, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ინსტრუმენტი. დიდი ილია არაერთ თავის ნაწარმოებში წერდა მედიაციის დადებით მხარეზე და იმ გამოწვევებზე, რაც მართლმსაჯულების მომხმარებელთათვის დღესაც ხშირ შემთხვევაში დაუძლეველი გამოწვევაა, სასამართლოში გახანგრძლივებული საქმისწარმოებები და მაღალი საპროცესო ხარჯები, რომლის ალტერნატივად დღეს უკვე სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე ინერგება XXI საუკუნის მართლმსაჯულება - მედიაციის სახით.[4]

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მედიაციის როლი და მნიშვნელობა მთელს მსოფლიოში, მათ შორის სულ უფრო და უფრო მატულობს მედიაციის მიმართ ინ ტერესი ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოში მედიაციის განვითარება რამდენიმე წლის წინ დაიწყო. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კანონმდებლობაში გაჩნდა სანოტარო, სასამართლო, სამედიცინო, საგადასახადო მედიაცია. დავის ალტერნატიული საშუალებების განვითარება, უმთავრესად სახელმწიფოს ნებაა. ვინაიდან, მისი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სასამართლო სისტემის განტვირთვაა.[5]

მიუხედავად სახელმწიფოს ნებით არაერთი ღონისძიებების განხორციელებისა, აღნიშნული საშუალებების განვითარების პროცესი საკმაოდ ძნელად მიმდინარეობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა გარკვეულ კატეგორიების საქმეებზე საამართლოს მიერ სავალდებულო მედიაციის ეტაპის გასვლა. კერძოდ, სავალდებულო მედიაციის ეტაპზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქმე განსახილველად კვლავ შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.[6] სავალდებულო მედიაციის განვითარება უპირველესყოვლისა მიმართულია მისდამი საზოგადოების ნდობის ამაღლების და სასამართლოში დავების რაოდენობის შემცირებისაკენ.

განქორწინების მედიაცია ეს არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, სადაც ნეიტრალური პირის დახმარებით ხდება საოჯახო სამართლებრივი დავების

---

[4] კონფლიქტის გადაწყვეტის ტაქტიკები და მედიაციის პრინციპები. 2017წ. http://mediationstudent.blogspot.com/2017/06/blog-post.html

[5] სტატია, სასამართლო ქრონიკა - მედიაციის ინსტიტუტი, სიახლე ქართულ მართლმაჯულებაში. 2011 წ. გვ 11.

[6] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2018წ. მუხლი 187.

გადაწყვეტა. ყველაფერთან ერთად , მედიატორი ცდილობს ხელი შეუწყოს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევას განქორწინებიდან წარმოშობილ საკითხებთან დაკავშირებით. განასხვავებენ საოჯახო და განქორწინების მედიაციას. ტერმინი „განქორწინების მედიაცია“ გულისხმობს მეუღლეთა შორის განქორწინების განმავლობაში წარმოშობილი დავის გადაწყვეტის პროცესს, ხოლო ოჯახის წევრთა შორის, ნათესავების, მშობლების და სხვათა ურთიერთობის რეგულირების საკითხი გაუთვალისწინებელი რჩება. აღნიშნულ საკითხთა მოგვარება საოჯახო მედიაციის სფეროში არის შესაძლებელი. [7]

საოჯახო მედიაციით მეუღლეები, ოჯახის სხვა წევრები ახდენენ დავის გადაწყვეტას სასამართლოს ჩარევის გარეშე. მედიაციის პროცესში მიუკერძებელი, ნეიტრალური პირი ეხმარება მხარეებს შეთანხმების მიღწევაში, მოლაპარაკებისგან განსხვავებით. მედიაცია სტრუქტურირებული, თუმცა არაფორმალური პროცესია, რომელსაც დამოუკიდებელი პირი წარმართავს აღიარებული პრინციპებისა და ტექნიკის შესაბამისად. [8] ვფიქრობ, რომ მედიაციას ყველაზე ეფექტური შედეგი სწორედ ოჯახური კონფლიქტების მოგვარებისას აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახური კონფლიქტები ძალიან სენსიტიური თემაა, მიმაჩნია, რომ სასამართლო ფორმალობების გვერდის ავლა და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა უფრო დადებითად იმოქმედებს მოდავე მხარეების სამომავლო მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებაზე. მედიაცია მუშაობს უკეთ, ვიდრე სასამართლო დაპირისპირება. როდესაც მედიაციას მიმართავთ, მედიაცია გეხმარებათ ყველაფერს სხვაგვარად შეხედოთ და რასაც ადრე არ ეთანხმებოდით შეიძლება მედიაციამ სხვაგვარად დაგანახოთ. მედიაციის უპირატესობა გამოიხატება ასევე მის შეღავათიან ფასებში, პროცესთან შედარებით და სასამართლოზე გაცილებით სწრაფია. ძირითადად საპროცესო ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება იმას, რისი მოთხოვნაც გვაქვს.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად იახავს საოჯახო მედიაციის, როგორც საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიუსი საშუალების განხილვას. საოჯახო მედიაციის სისტემის სხვადასხვა ქვეყნებში განხილვას. ყურადღება გამახვილებული იქნება ასევე საქორწინო მედიაციაზე.

შედარებით სამართლებრივი კვლევისთვის არჩეული იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, ასევე საქართველოც. აღნიშნულ ინსტიტუტში არსებული პრობლემები იქნება ნაშრომში წარმოდგენილი. ყურადღება გამახვილებული იქნება საოჯახო მედიაციის დადებით მხარეებზე, რათა საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს. ყურადღება მიექცეს, რომ აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება გადაჭრის უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე სასამართლოში დავის განხილვა. შევეცდები, რომ ჩემი ნაშრომით მოხდეს საზოგადოების უფრო მეტი

[7] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 80.

[8] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 70.

ინფორმირებულობა და ამ ინსტიტუტის პოპულარიზაცია. საქართველოში არ აქვთ ნდობა ამ ინსტიტუტის მიმართ, რადგან ვერ ფლობენ სათანადო ინფორმაციას და ვერ აანალიზებენ მის დადებით მხარეებს.

ნაშრომი შედგება 60 გვერდისგან, თავფურცელისაგან, ანოტაციისაგან, შესავალისაგან, სამი თავისაგან, დასკვნისაგან და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ნაშრომის პირველ თავში განხილულია მედიაციის ცნება, მისი წარმოშობა და განითარების ისტორია, ასევე საუბარია მის უპირატესობებზე დავის განხილვის სხვა ალტერნატიულ საშუალებასთან მიმართებაში. მეორე თავში საუბარია საოჯახო მედიაციაზე და მედიატორის როლზე, საოჯახო მედიაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ინსტიტუტის, როგორც მატერიალური და არამატერიალური რესურსების დაზოგვის საშუალებაზე, ადვოკატის და ნოტარიუსი მედიატორის როლზე საოჯახო მედიაციაში და განქორწინების მედიაციაზე. მესამე თავში განხილულია მედიაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, საუბარია საქართველოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში და ინგლისში არსებულ საოაჯხო მედიაციაზე.

თავი I. მედიაციის ცნება და ისტორია

1.1. მედიაციის ცნება

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა - პროცესს, რომლის ფარგლებშიც მხარეები გადაწყვეტენ საკითხის მოგვარებას მოლაპარაკებით, რომელიც წარიმართება ნეიტრალური პირის მიერ, შესაძლებელია ეწოდოს მედიაცია. ეს მოლაპარაკების მცდელობაა, სადაც ნეიტრალური პირი - მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. მედიატორი შეთანხმების პირობებზე გავლენას არ ახდენს. ის მედიაციის პროცესს უძღვება და მონაწილე მხარეებს ეხმარება შეთანხმებას მიაღწიონ უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ. მედიაცია თავისუფალი და არაფორმალურია. მხარეებს პირველი შეხვედრისას და მის შემდგომაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ პროცესი. ამასთან, მედიატორი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ პირს, რომელიც მხარეებს ეხმარება კონსენსუსის მიღწევაში.[9] შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი უპირატესად ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებაა, ე.ი. მიზანი სოციალურია. მხარეები ნებაყოფლობით თანხმდებიან მედიაციის პროცესს და შეთანხმებას დამოუკიდებლად აღწევენ, მათი შეთანხმება მთლიანად თვითპასუხისმგებლობაზეა დამყარებული. მედიაციით მიღწეული შეთანხმების ნებაყოფლობით შერსულება ინარჩუნებს იმ სოციალურ ურთიერთობებს, რაც მოდავე მხარეთა შორის არსებობს.

მედიაციის სუბსტანციის განმარტების თვალსაზრისით, შესაძლებელია აშშ-ს კალიფორნიის შტატის მაგალითის მოხმობაც, რომლის შესაბამისად მედიაცია - ეს არის პროცესების ერთობლიობა, რომელშიც ჩართულია ნეიტრალური პირი. ის აადვილებს მხარეთა შორის კომუნიკაციას, ეხმარება მიაღწიონ შეთანხმებულ გადაწყვეტილებას.[10] მეტიც, მედიაციას აქვს უნარი განახორციელოს არამხოლოდ კონკრეტული პირების ცნობიერების ტრანსფორმაცია ყოველი ინდივიდუალური საქმისწარმოების პირობებში, არამედ მოახდინოს საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება დავის გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებაში, მისი უპირატესობების საჯარო აღიარებისა და მის მიმართ ნდობის ჩამოყალიბების შემთხვევაში. მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიულ საშუალებაზე საუბრისას, მისი ეფექტიანობის დასაბუთების მიზნით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ

[9] მედიაციისსამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 12, 13.

[10] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 71.

დავებიდან, რომელთა გადაწყვეტასაც მათი საშუალებით ცდილობენ, მხოლოდ ორიდან ათ პროცენტამდე გრძელდება სასამართლოში.[11]

მედიატორი არის დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც სპეციალური სწავლება აქვს გავლილი სხვადასხვა სფეროებში და ეხმარება მხარეებს კონფლიქტის აღმოფხვრაში. მოდავე მხარეთათვის სასურველი შედეგის მიღწევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მედიატორის პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას. ამასთან, მედიატორი შესაძლოა იყოს სასამართლოს თანამშრომელი, უბრალო მოხალისე, რომელიც სასამართლოს ეხმარება, მოსამართლე ან სხვა ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს პირადი გამოცდილება და ცოდნა კონფლიქტის მოგვარებაში.მთავარი განმასხვავებელი მედიატორსა და არბიტრს შორის არის ის, რომ მედიატორი არ იღებს გადაწყვეტილებებს.[12]

ხშირად მედიაციის ცნება კანონში პირდაპირ არის ხოლმე მოცემული. მაგალითად, კალიფორნიის შტატის სამართალი მედიაციის ზოგად განსაზღვრებას ასეთი ფორმით იძლევა: მედიაცია არის პროცესების ერთობლიობა, რომელშიც ჩართულია ნეიტრალური პირი. ის მხარეებს შორის აადვილებს კომუნიკაციას, ეხმარება მათ მიაღწიონ შეთანხმებულ გადაწყვეტილებას. როდესაც, მხარეები გადაწყვეტენ საკითხის მოგვარებას მოლაპარაკებებით, რომელიც წარიმართება ნეიტრალური პირის მიერ, პროცესს უკვე შეიძლება ვუწოდოთ მედიაცია.[13]

აშშ-ში დავების ალტერნატიული გადაწყვეტა მოიცავს ნებისმიერ ფორმას სასამართლო პროცესის გარდა. როგორც გერმანელი ადვოკატების ერთი ნაწილი თვლის, მედიაცია გულისხმობს ინტერესებს პრეტენზიების ნაცვლად. შვეიცარიულ დოქტრინაში და პრაქტიკაში მიღებულია მედიაციის საყოველთაოდ აღიარებული ნიშნებისა და პრინციპების ჩამოთვლა: კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა, ნებაყოფლობა და ა.შ. ფრანგული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მედიაციას განმარტავს, როგორც მეთოდს, რომლის დროსაც მედიატორმა უნდა მოუსმინოს მხარეებს, წარუდგინოს სადავო საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები და დაეხმაროს მათ კონფლიქტის შეთანხმებით დასრულებაში. განმარტების ჩამოყალიბებისას ინგლისში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით გაცილებით მარტივი ფორმულირებით შემოიფარგლებიან და მედიაციის ყველა ნიშნის დასახელება დეფინიციაში აუცილებლად არ მიაჩნიათ. ერთ-ერთი განმარტების თანახმდა, მედიაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ნეიტრალური პირი ეხმარება მხარეებს მათ შორის არსებული დავის კონსესუსით დასრულებაში.[14]

---

[11] ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018. გვ. 27.

[12] ს.მ. ოსტერმილერი. დ.რ. სვენსონი - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2014წ. გვ. 12.

[13] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 13.

[14] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 26.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ მოიცავს მედიაციის განმარტებას. მითითებას ამ პროცესში მესსამე ნეიტრალური პირის როლზე, მხარეთა მიერ პროცესის შედეგის კონტროლის საკითხსა და მედიატორის სტილზე. ამ საკითხებს არც სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული რომელიმე ნორმატიული აქტი არ არეგულირებს. შესაბამისად დღემდე მხოლოდ მოქმედ მედიატორთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც, როგორც წესი, მედიაციის ცნებით არის განსაზღვრული. მაგ. როგორი სტილის მედიაციის პროცესს ჩაატარებს მედიატორი, შეთავაზებს თუ არა მორიგების პირობებს მედიატორი და ა.შ.[15]

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ დადგენილი წესების თანახმად მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მოქნილი, კონფიდენციალური და ნებაყოფლობითი პროცესი, რომელშიც მედიატორი გამოდის, როგორც დამოუკიდებელი პირი, რომელიც მხარეებს ეხმარება დავის მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტაში. მხარეები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას შეთანხმების შესახებ და განსაზღვრავენ მის პირობებს.[16]

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, როდესაც მედიატორი - დავის სასბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არ მქონე პირი უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა შორის შეთანხმების მიღწევა.

1.2. მედიაციის წარმოშობა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოცემული გერმანული ლიტერატურა თითქმის უთითებს, რომ მედიაციის ისტორია აშშ-ში დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევარში. თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ თანხმება. საზოგადოებაში მიღებულია, რომ რაღაცის ისტორია და მსჯელობა რაღაცის შესახებ წარსულიდან უნდა დაიწყოს. ტერმინ „მედიაციის“ ძირები ძველ ბერძნულ და ლათინურ ენაში უნდა ვეძიოთ. არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც მედიაციის პირველი პრეცედენტები 2 საუკუნეზე მეტი ხნის წინაც კი დოკუმენტურად დასტურდება და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმები დაახლოებით იმავე ხანისაა, რამდენისაც - საზოგადოება. აქ საუბარია არა უშუალოდ მედიაციის სიძველეზე მისი თანამედროვე ამერიკული ან ევროპული გაგებით, არამედ პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ნეიტრალური მხარის მიერ ორი ან მეტ პირს შორის წარმოშობილი დავის

[15] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2014წ. გვ. 83.

[16] საქარტველოს მედიატორთა ასოციაცია. http://mediation.ge/ka/rules-of-mediation

შეთანხმების დასრულებაში დახმარებას. პრინციპის ზუსტი ასაკის დადგენა, ცხადია შეუძლებელია, ამერიკაში უბრალოდ მოხდა ამ პრინციპის ხელახალი აღმოჩენა.[17]

ცნობილია, რომ ანტიკურ საბერძნეთში, ათენსა და სპარტას შორის წამოჭრილი დავებისას სხვა ბერძნული ქალაქები ყოველთვის სთავაზობდნენ მათ შუამავალის როლის საკუთარ თავზე აეღო.[18]

შუამავლობისა და მომრიგებლობის სხვადასხვა ფორმები ძველ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში და საბერძნეთშც არსებობდა. ცნობილია, რომ მედიაციის მსგავს პროცედურას ძალზედ ინტენსიურად მიმართავდნენ მთელ შუამდინარეთში მოღვაწე ასირიელი ვაჭრები. მორიგება, როგორც დავის აღმოფხვრის შესაძლებლობა, ცნობილი იყო ხამურაბის კანონმდებლობის შექმნის დროსაც.[19]

საქართველოც ამ მხრივ არათუ გამონაკლისს, არამედ ერთ-ერთ სანიმუშო ქვეყანას წარმოადგენს, რომლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უხსოვარი დროიდან მოყოლებული თითქმის XX საუკუნის შუა ხანებამდე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მედიაციის ინსტიტუტს.[20] წავაწყდებით შემთხვევებს, სადაც მედიატორი ქართულ ისტორიულ წყაროებში სხვა დასახელებით თუმცა იგივე ფუნქციონალური დატვირთვით გვხვდება: მსაჯული, რჯულის კაცი, მახვში, ბჭემედიატორი, ხევისბერი, მორვი (მედიატორის მნიშვნელობა სვანეთში), შუაკაცი, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ტერმინის „მედიატორი“-ს და „სამედიატორო სასამართლოს“ გამოყენება ასევე შეინიშნება და მკვიდრდება საქართველოში (მათ შორის სვანეთის კუთხეში). აღსანიშნავია, რომ ყველა ტერმინი, რაც მედიაციასთან იყო დაკავშირებული ისტორიულ ქართულ ტრადიციულ წყაროებში არ უკავშირდება საამართლო მოხელეს, ის უფრო მეტად ხალხის რჩეულის მნიშვნელობით გამოიყენება, ვისაც მოქალაქეები საკუთარი დავის გადაწყვეტას ანდობდნენ. [21]

დავების მორიგებით დამთავრების პრიორიტეტულობაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დიდი ქართველი მწერალი, „ერის მამად“ წოდებული, განათლებით იურისტი ილია ჭავჭავაძე საუბრობდა. 1886 წლის 19 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში - „მომრიგებელი სასამართლოების შესახებ“ ილია წერდა: „ხალხს სწრაფი და მარტივი, უფორმალო სამართალი სჭირია, დარღვეულ უფლებათა მსწრაფლ აღდგინება უნდა.“ ფაქტობრივად, ამ წინადადებებში აყალიბებს ილია

[17] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 76.

[18] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 46.

[19] მედიაციის სტილები. 2017წ. http://mediationstyles.blogspot.com/2017/06/blog-post.

[20] ს.ონიანი - მედიაცია - მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2013 წ. გვ. 23.

[21] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 16.

ჭავჭავაძე, რომ აუცილებელია პრიორიტეტი მიენიჭოს დავის დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტას მორიგების გზით.[22]

ბარში მედიატორობა ძირითადად ოჯახის გაყოფასთან იყო დაკავშირებული. დღემდე შემონახული მრავალი ისტორიული მასალა მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ყველა კუთხეში ოჯახური ქონების გაყოფა მედიატორის დახმარებით ფართოდ იყო გავრცელებული. მედიატორების მოვალეობას შეადგენდა, აღეწერათ ოჯახის მთელი ქონება და შეედგინათ ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების საბუთი. ეს საბუთი იმდენ ცალად იწერებოდა, რამდენი მონაწილეც იყო. ერთი პირი მედიატორსაც უნდა დარჩენოდა. ყველა შემთხვევაში, მედიატორი ოჯახის თითოეული წევრის ინტერესებს ითვალისწინებდა და ჩვეულებითი სამართლით დამკვიდრებული წესების მიხედვით მოქმედებდა. აჭარაში დამკვიდრებული იყო ქონების გაყოფა „ფიშქეშის ყრით". მედიატორები მთლიან ქონებას თანაბარ წილად დაყოფდნენ და თითოეულ წილს განსაზღვრულ ნიშანს ანიჭებდნენ. შემდგომ, ქუდში ჩაყრიდნენ იმდენ ნიშანდასმულ ჩხირს, რამდენი მოწილეც იყო. ცალკეული ჩხირი რომელიმე წინასწარ განსაზღვრული წილის კუთვნილების გამომხატველი იყო, რომლის შესახებ მხოლოდ მედიატორებმა იცოდნენ. ისინი ქუდში ჩაყრილ ჩხირებს ერთმანეთში აურევდნენ, რის შემდგომ თითოეული მოწილე თითო ჩხირს ამოიღებდა და ამის მიხედვით ისაკუთრებდა თავის წილხვედრ ქონებას.[23]

ნეიტრალური მესამე პირის მონაწილეობით დავების გადაწყვეტა ევროპაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა X - XI საუკუნეებში მეზობელ მამულებს შორის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებულ დავებთან. შუა საუკუნეებში ტერმინი „მედიატორი" უცხო არ ყოფილა კათოლიკური ეკლესიისთვისაც. ურბან მერვის მიერ მონასტერში გაგზავნილი წარმომადგენელი, რომელსაც ადგილობრივ კათოლიკეებს შორის არსებული დავა უნდა დაესრულებინა მოხსენიებულია როგორც მედიატორი.[24]

ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით ევროპა შეიძლება თავისუფლად ჩაითვალოს მედიაციის აკვნად. ამის მაგალითია ვენის კონგრესი, სადაც პროფესიონალი დიპლომატი მედიატორების მონაწილეობის გარეშე გადასაწყვეტი დარჩებოდა უამრავი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ომგამოვლილ ევროპაზე უარყოფით გავლენას მოახდენდა.

---

[22] მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. თბილისი 2017 წელი. გვ. 23.

[23] სოფიო ტყემალაძე - მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე. ევროკავშირი საქართველოსთვის. გამოცემულია ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამითსაქართველოში. თბილისი 2016წ. გვ. 40, 41.

[24] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 47.

IXX საუკუნეში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი მესამე ნეიტრალური ქვეყნის ჩარევის გარეშე გადაწყდა. მედიატორის როლი შეასრულა ბრიტანეთმა 1825 წელს პორტუგალიასა და ბრაზილიას შორის კონფლიქტისას, საფრანგეთმა 1850 წელს ბრიტანეთსა და საბერძნეთს შორის კონფლიქტისას. საფრანგეთმა და ბრიტანეთმა კი 1844 წელს ესპანეთსა და მოროკოს შორის კონფლიქტისას. XX საუკუნეში ფიქსირდება თეოდორ რუზველის როლი რუსეთ - იაპონიის ომის შეწყვეტასთან დაკავშირებით.[25]

1898 წელს აშშ-შ პირველად კონგრესის მიერ შეიქმნა მედიაციის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, როდესაც შრომის დავების გადაწყვეტისას ალტერნატიული საშუალებების გამოყენება დაუშვა. 1913 წლისთვის კი ეს ფორმა პრაქტიკულად გამოიყენებოდა რკინიგზების მშენებლობის სფეროში წარმოშობილ დავებზე. 1924 წელს გატარებული რეფორმების შედეგად მოსამართლეს მიეცა უფლება ეწარმოებინა „მორიგების პროცესი“, ეს ნორმა 1950 წლამდე მოქმედებდა.[26]

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ჯერ კიდევ 1921 წელს შეაფასა მედიაცა სასამართლოსთან და არბიტრაჟთან მიმართებაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ და უკეთეს საშუალებად.

ლიტერატურიდან გამომდინარე თანამედროვე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საწყისები XX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში უნდა ვეძიოთ აშშ-ში. ყველაზე ძველი გამოცემა აშშ-ში, რომელიც მედიაციას ეხება 1969 წლით არის დათრიღებული. ეს ინსტიტუტი არბიტრაჟსაც მოიაზრებს წმინდა ამერიკული გაგებით. ევროპაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არბიტრაჟისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის წარმოშობის და განვითარების განსხვავებული კანონზომიერების გამო ამერიკული მიდგომა ბოლომდე გაზიარებული არ არის.

1.3. მედიაციის განვითარების ისტორია

მედიაციის განვითარებაში აკადემიური წრეების როლი უმნიშვნელოვანესია. არავინ იცის, როგორი იქნებოდა ეს ინსტიტუტი, რომ არა მაგალითად ჰარვარდის ან ჯორჯიის უნივერსიტეტების მიერ 1970-იანი წლების ბოლოს განხორციელებული პროექტები. ან გერმანიაში 1983 წელს უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტები მოლაპარაკების ტექნიკის დახვეწასთან დაკავშირებით.[27]

აშშ-ში მედიაციის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენდა 1976 წელს მოსამართლეების, ადვოკატებისა და აკადემიუწი წრეების მონაწილეობით ჩატარებული ფართომაშტაბიანი კონფერენცია. კონფერეციაში მიღწეული

[25] ისტორია 2014წ. - https://sites.google.com/site/brazilia111222/-announcements

[26] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 48.

[27] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 73.

შეთანხმებით ამერიკული მართლმსაჯულების გადატვირთულობა და პროცესების გაჭიანურება უნდა მოგვარებულიყო ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. უზარმაზარი იყო ადამიანური და ფინანსური რესურსების დანახარჯი, რაც სასამართლოში საქმის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. ამერიკისს საარბიტრაჟო ასოციაციამ 70-იანი წლებიდან აუბა მხარი ამ ტენდენციას და დაიწყო მედიაციის მომსახურების შეთავაზება თავისი კლიენტებისთვის. სწორედ ამ პერიოდში ხდება ამერიკაში მედიატორთა პირველი პროფესიული ორგანიზაციის დაარსებაც. აშშ-ში განხორციელებული პირველ მსხვილმაშტაბიან მედიაციად ითვლება 1974 წელს დაწყებული პროცესი, რომელიც შეეხებოდა ვაშინგტონში წყალსაქაჩის უპრეცედენტო მასშტაბის მშენებლობას. მედიატორეი ინტენსიურად მუშაობდნენ ფორდის ფონდის მიერ დაფინანსებულ მოდელურ პროექტში. პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა სფეროში არსებული დავების მედიაციის გზით გადაწყვეტის შესაძებლობის კვლევას და კვლევის შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციას.[28]

მედიაცია, განვითარების ეტაპებზე, მოიაზრებოდა როგორც ამერიკული საპროცესო სამართლის დანამატი, ამერიკული მოვლენა, რომელსაც ევროპაში წარმატება არ ექნებოდა. მიუთითებდნენ ევროპული სასამართლოების ვალდებულებაზე, რომ ისედაც შეეწყოთ ხელი მხარეთა მორიგებისათვის ყოველგვარი მედიაციის გარეშე. ეს შეიძლება ყოფილიყო დროის ტყუილად კარგვა, რადგან შეთანხმების რესურსების არსებობის შემთხვევაში მხარეები მას მესამე პირის ჩარევის გარეშეც გამოიყენებდნენ. უარყოფითი იყო დამოკიდებულება იმის შესახებ, რომ მედიაციის დროს მხარეებს ერთმანეთისთვის უნდა გადაეცათ კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც შეიძლება მოწინააღმდეგე მხარისთვის ამ ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების საფუძელი გამხდარიყო.[29] თუმცა როგორც დღესდღეისობით ჩანს ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად მედიაცია არანაკლებ პოპულარულია და გავრცელებულია ევროპაში.

ამერიკაში ჩატარებული სტატისტიკით, რომელიც 1980-იან წლებში ჩატარდა, მხარეები კმაყოფილები იყვნენ მედიაციით, თუმცა არსებობს ასევე მონაცემები, რომლის თანახმადაც, მომხმარებელთა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი უკმაყოფილონი იყვნენ. მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას ნებაყოფლობით ასრულებდა მხარეთა 81%. სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 48 % შეადგინა.[30] ეს სტატისტიკა იმ დროსაც კარგად აჩვენებდა, რომ მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმება მეტად განხორციელებადია, რადგან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ძალისხმევითა და ნება-სურვილით მიაღწიეს შეთანხმებას, ცდილობენ დაიცვან ამ შეთანხმების პირობები.

XX საუკუნის მიწურულისკენ მედიაციას განმარტავდენ, როგორც მხარეებისთვის, მესამე პირის დახმარებას, რომელთაც სურვილი აქვთ არსებული დავა შეთანხმებით დაამთავრონ. როგორც თემის დასაწყისში აღვნიშნე ამერიკელი მკვლევარების ერთი ნაწილის აზრით მედიაცია არ არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამერიკული

[28] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 49.
[29] (იქვე) გვ. 50.
[30] (იქვე) გვ. 52.

აღმოჩენა, ის დავების გადაწყვეტის უძელესი ფორმაა. ნებისმიერი საზოგადოების წარმატება ორ ბორბალს - ტრადიციას და ინოვაციას ეყრდნობა.

1990-იან წლებში ბრიტანეთში მედიაციას იურისტები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდნენ. მედიაციაში მონაწილეობა ითვლებოდა იურისტის სისუსტედ, რომ მას პროცესში წარმატეის იმედი არ ჰქონდა. წლების შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, რაზეც დიდი გავლენა იქონია სამოქალაქო საპროცესო სამართლის რეფორმამ, როდესაც ძალაში შევიდა 1999 წელს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. რეფორმის საფუძველი იყო 1996 წელს მომზადებული ანგარიში, რომლის ძირითადი მოტივაცია, მ იზანი და საფუძველი იყო, რომ სამოქალაქო საქმეებზე პირთა უმრავლესობის მიმართვა სასამართლოსათვის უნდა ყოფილიყო უკანასკნელი სამართლებრივი საშალება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია. 1979 წლის საფრანეთში მიიჩნევდნენ, რომ იურისტები სიამოვნებას უნდა ნახულობდნენ პროცესის მოგებაში და არა დავის შეთანხმებით დამთავრებაში.[31]

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში დღესდღეობით მედიაცია კონფლიქტების გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, შეიძლება ითქვას რომ საქართველოში მან ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი, რასაც მოწმობს ის მცირე პრაქტიკა რაც ამ დროისთვის მედიაციის კუთხით გაგვაჩნია. აღნიშნული მით უფრო გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელიც უნიკალურია იმ მხრივ რომ გააჩნდა სასამართლო პროცესებისა და სასამართლოების უძველესი ფორმები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამედიატორო სასამართლოს, რომელიც საპროცესო მოქმედებებს ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ახორციელებდა.

1990-იანი წლები თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ მედიაციის აღმავლობის პერიოდად. ევროპის კავშირის მასშტაბით მედიაცია აღიარებულ იქნა, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის შესამუშავებლად აუცილებელი კომპონენტი. როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებას უამრავი წინაპარი ყავდა სხვადასხვა საზოგადოებაში, ისტორიულ თუ კულტურულ გარემოში. მედიაცია იძლევა ისეთი შესაძლებლობების კომბინაციას, რაც მას აუცილებლად და საჭიროდ აქცევს თანამედროვე მსოფლიოსათვის.[32]

საერთაშორისო მედიაცია იმყოფება განვითარების იმ სტადიაზე, რომელზეც არბიტრაჟი იმყოფებოდა დაახლოებით 50 წლის წინათ.[33] სხვადასხვა პროგნოზების თანახმად მედიაციაც მიაღწევს არბიტრაჟის ანალოგიურ გავრცელებასა და მასშტაბებს. საარბიტრაჟო პრაქტიკა დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა ხელოვნებად, შემდეგ კი ნელ-ნელა მეცნიერებად იქცა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მედიაციაც მიაღწევს აღნიშნულს.

---

[31] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 202.

[32] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 102.

[33] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 48.

1.4. მედიაციის უპირატესობა დავის გადაწყვეტის სხვა ინსტიტუტთან მიმართებაში

მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებას, აქვს სხვადასხვა უპირატესობები დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან მიმართებაში, მაგალითად არბიტრაჟთან მიმართებაში. პირველი ეს არის ღირებულება, როგორც წესი პროცედურების ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არბიტრაჟში. ასევე სისწრაფეც, მედიაციის პროცესზე შეთანხმების შემდგომ, პროცესი რამდენიმე დღეს გრძელდება, ქართული კანონმდებლობით, სასამართლო მედიაციის შემთხვევაში 45 დღეს.[34]

გარდა ამისა, არბიტრებისგან განსხვავებით, მედიატორებს შეუძლიათ, იქცნენ არა მარტო დავის მომგვარებლებად, არამედ, ახალი გარიგების ხელშემწყობებად. მათ შეუძლიათ განაპირობონ ემოციური რესურის დაზოგვაც. მედიატორები ეხმარებიან მხარეებს, თავიდან აიცილონ ორი სახის ''ჩავარდნა''. კერძოდ, თუ მხარეები მისდევენ წინასწარ არჩეულ სტრატეგიას, შესაძლოა, მათთვის მომგებიანი შეთანხმება უარყონ ან თუნდაც, მორიგდნენ, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით თავისდა საზიანოდ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება აღემატებოდეს სასამართლო ხარჯებს.[35]

კანონის უზენაესობის პერსპექტივაში, დავები შეიძლება სასამართლოსგან განსხვავებული გზითგადაიჭრას. აბსოლიტურად მისაღებია დავების მოგვარებისა და გადაწყვეტის ალტერნატიული გზები. ინფორმაციისთვის, არსებობს სხვადასხვა ტიპის მეთოდები, როგორიცაა მედიაცია და არბიტრაჟი, რომლებიც „დავების ალტერნატიული გადაწყვეტის“ მეთოდების სახელით არის ცნობილი. არსებობს ასევე კვაზი-სამართლის ინსტიტუტები, როგორიცაა ომბუდსმენი, რომელთაც შეუძლიათ გამოიძიონ საჩივრები სახელმწიფოს ან ორიგანიზაციების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ.[36]

დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს მრავალი უპირატესობა გააჩნია, როგორიცაა: ადვილად ხელმისაწვდომი ხარჯისა და მანძილის თავლსაზრისით, შედარებით სწრაფი, შედეგების უკეთესი აღსრულება, ოფიციალური სასამართლოს დატვირთვის შემსუბუქება და ა.შ. იმდენად რამდენადაც, ეს ალტერნატიული პროცედურები ფორმალური სასამართლოს ფარგლებში ან მის გარეთ, შედეგად

---

[34] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2018წ. მუხლი 187[5].

[35] ICCA-კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო. სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-ორკის კონვენციის განმარტებაზე. გამოცემულია კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს მიერ. 2013 წ. გვ. 145.

[36] კანონის უზენაესობა - სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის. Raoul Wallenberg institute. საავტორო უფლება - ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი. 2012 წ. გვ. 119.

იძლევა დავების გადაწყვეტის ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდას, ამგვარი პროცედურები არა მხოლოდ მისაღებია კანონის უზენაესობის კონტექსტში, არამედ განამტკიცებს კიდეც კანონის უზენაესობას. თუმცა აუცილებელი წინაპირობის - მოცემული პროცედურები უზრუნველყოფენ ყველა მხარის იურიდიულ დაცვას, სამართლიანი მოსმენის ჩათვლით და აკმაყოფილებენ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს - შესრულების შემთხვევაში.

თავი II. საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება

2.1. საოჯახო მედიაცია და მედიატორის როლი დავის განხილვის ალტერნატიულ საშუალებაში

ოჯახი ქორწინების საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფია. უხსოვარი დროიდან ოჯახის ინსტიტუტი წარმოადგენდა და წარმოადგენს ცივილიზებული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს. ოჯახის მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი საკანონმდებლო ფარგლებში მოქცევა და სწორი რეგულირება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. საოჯახო ურთიერთობის არეგულირებს საოჯახო სამართალი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ნაწილია.[37] ადამიანები არც თუ იშვათად თანაცხოვრებას ოჯახის დანგრევას ამჯობინებენ. ასეთ დროს ხშირია მეუღლეებს შორის კონფლიქტი და ოჯახის წევრებს შორის დაძაბულობა და დავა სხვადასხვა საკიხებზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საოჯახო დავების მნიშვნელოვანი ნაწილი სასამართლო პროცესამდე მხარეთა მოლაპარაკების გზით ხორციელდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, მედიაცია როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, განვითარებას მეოცე საუკუნეში იწყებს, თუმცა საქართველოში მისი თანამედროვე ისტორია რამდენიმე წელს ითვლის. თანამედროვე მსოფლიოში დავის ეფექტური გადაწყვეტა ნებისმიერი საქმიანობის აუცილებელი ატრიბუტი გახდა. დავის გადაწყვეტის ტრადიციული საშუალება ძალიან დიდ რესურს მოითხოვს. იზრდება მატერიალური ხარჯი, რომელიც დავის საგნის ღირებულებას ეხება, ასევე დროის დანაკარგიც სერიოზულ პრობლემებს ქმნის. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების მიზეზები სწორედ ამგვარი რესურსების დაზოგვაა. წლებში გაჭიანურებული დავა უკვე ნაკლებ ეფექტური ხდება დავის მონაწილეებისათვის, ამიტომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები სულ უფრო და უფრო პოპულარული და პრაქტიკული ხდება.

ყველა ოჯახი განსხვავებულია, მაგრამ ყველა ერთნაერია იმით, რომ ყველგან ხდება კონფლიქტი. არის ოჯახები, სადაც კონფლიქტს აგვარებენ, მაგრამ არიან ოჯახები, სადაც კონფლიქტი წლების განმავლობაში გრძელდება. ორმხრივი გაუგებრობა, დაუთმობლობა, ნეგატიური ემოციები - ყველაფერ ამას საბოლოოდ მიყავს საქმე მძიმე შედეგებამდე, როგორც ოჯახის წევრებისთვის(სადაუ უპირველესყოვლისა იტანჯება ბავშვები) ასევე ახლო პირებისთვის.

[37]საოჯახო დავების რეგულირება http://flg.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/litigation/family-court/

როდესაც ოჯახის წევრები ხვდებიან, რომ მათმა კონფლიქტმა მიაღწია აპოგეას, უნდა მიმართონ პროფესიონალს, ადამიანს, რომელიც აგვარებს კონფლიქტებს. სწორედ ეს არის მედიატორი. ასევე ოჯახის კონფლიქტების მოგვარების დროს გამოიყენება საოჯახო მედიაციის პროცედურა.[38] მაგალითად ორ ძმას შეიძლება ჰქონდეთ დავა საოჯახო ბიზნესზე და სურდეთ პრობლემის გადაწყვეტა გარკვეული კერძო მითითებების საფუძველზე. მედიაცია იძლევა სპეციალური შეთანხმების მიღწევის საშუალებას, რაც შეუძლებელი იქნებოდა სასამართლო პროცესის შემთხვევაში.[39]

პრაქტიკაში მედიაცია, უმეტესად საოჯახო დავებში გამოიყენება.[40] საოჯახო მედიაციით ოჯახის სხვადასხვა წევრები, მეუღლეები, მოშბლები და შვილები, ბებიები - ბაბუები და შვილიშვილები და სხვები ახდენენ დავის გადაწყვეტას მედიაციის საშუალებით, სასამართლოს ჩარევის გარეშე. საოჯახო მედიაციის პროცესში, დამოუკიდებელი, მიუკერძებელი და ნეიტრალური მესამე პირი ეხმარება მხარეებს შეთანხმების მიღწევაში. მედიატორი ცდილობს ხელი შეუწყოს ოჯახის წევრებს შორის შეთანხმების მიღწევას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშრებით. სწორედ აღნიშნული საოჯახო დავების ეფექტური და ნაკლებ დანახარჯი რესურსებით მოგვარება საოჯახო მედიაციით არის შესაძლებელი.[41]

საოჯახო მედიაციაში მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, განიხილონ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა განქორწინება, ბავშვების აღზრდა, ალიმენტის გადახდევინება, ქონების გაყოფა და სხვა.

წლების წინ, როდესაც საოჯახო მედიაცია შემოვიდა, როგორც დავის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდი, ამ სიახლეს ყველა დაცინვით შეხვდა. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი ადვოკატი ამ ინსტიტუტს დაცინვით შეხვდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ წინააღმდეგობის ადვოკატების მხრიდან გახლდათ ის, რომ მათ ეგონათ თითქოს ისინი საკუთას საქმიანობას დაკარგავდნენ. თუმცა სწორედ ისინი, ვინც ამ სიახლეს ეწინააღმდეგებოდა, ჩაერთენ ამ პროცესში და გახდენ ემდიატორები, რადგან მიხვდნენ, რომ მათი სკეპტიციზმი უსაფუძვლო იყო და მედიაციაც გახლდათ

[38] სტატია. 2016 წ. Садовникова М.Н. Архипкина А.С. – семейная медиация.

http://uventa38.ru/index.php/nashi-publikatsii/128-semejnaya-mediatsiya-ponyatie-osnovnye-kharakteristiki-obzor-protsedur-mediatsii

[39] ს.მ. ოსტერმილერი. დ.რ. სვენსონი - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო. გამომცემლობა „მერიდიანი".თბილისი 2014წ. გვ. 13.

[40] მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი 2017წ. გვ. 113.

[41] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 81.

უკეთესი გზა რათა კლიენტი დარჩენილიყო კმაყოფილი, ასევე ფინანსურადაც შემოსავლიანი იყო.[42]

საოჯახო მედიაციის განვითარება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განქორწინებათა რიცხვის ზრდამ გამოიწვია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1867 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში განქორწინებათა წლიური რაოდენობა იყო 10000-ზე ნაკლები. 1967 წელს აღნიშნულმა მონაცემებმა მიაღწია 50000-ს, რომელიც 1981 წლისათვის გაორმაგდა. თანამედროვე მონაცემების შესაბამისად, ქორწინების 45 პროცენტი სრულდება განქორწინებით. განქორწინებათა ამგვარი ზრდა ამერიკის შეერტებულ შტატებში სასამართლო სისტემის გადატვირთულობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მედიაციის ტაქტიკას ოჯახური დავების მოგვარების მიზნიდ ხშირად იყენებდნენ, თუმცა ამგვარი მეთოდი მიმართული იყო იმისათვის, რომ დავა წყვილის შერიგება/მორიგების სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო და არა იმისათვის, რომ მათთვის განქორწინებისათვის ხელი შეეწყო. მე-20 საუკუნის დასაწყისში, სხვადასხვა იურიდიული დახმარების ორგანიზაციებმა და ასევე სასამართლო სისტემამ ამ მეთოდის გამოყენება აქტიურად დაიწყო. რამდენიმე შტატმა შემოიღო ე.წ მორიგების სამსახურები. ამგვარი სამსახური პირველად კალიფორნიის შტატში გაჩნდა, რომელიც ეხმარებოდა პრობლემური ქორწინების მქონე წყვილებს მათი ოჯახის შენარჩუნებაში.[43] განქორწინების პროცესს თან ახლავს ოჯახის წევრებს შორის დაძაბულობის ზრდა. ამასთან, ფინანსური თვალსაზრისით, სასამართლო პროცესი იწვევს საკმაოდ დიდი მოცულობის ფულადი სახსრების ხარჯვას. უპირველესად ძვირი სასამართლო წარმოება გახდა ალტერნატიული საშუალების არსებობის მოთხოვნის საფუძველი. ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ნახევარზე მეტ შტატში კანონმდებლობით არის გათვალისწინებული განქორწინების მედიაციის სავალდებულო არსებობა.[44] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის მიხედვით საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დავებზე და სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე მოქმედებს სავალდებულო მედიაცია. [45]

განქორწინების ტრადიციული მეთოდისგან განსხვავებით, მედიაცია დაფუძნებულია მოლაპარაკების პროცესზე, მხარეთა მიერ მათთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სასამართლო წესით განქორწინებისას, ცოლ-ქმარს მხოლოდ ფორმალური კავშირი აქვთ ერთმანეთთან და

---

[42] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2014წ. გვ. 111.

[43] (იქვე) გვ. 112.

[44] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 81.

[45] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2018წ. მუხლი 187[3].

შეჯიბრობითობის პრინციპით მოქმედებენ. განსაკუთრებით წარმომადგენლების ყოლის შემთხვევაში.[46] თითოეული მხარის ადვოკატი ცდილობს ერთმანეთის დადანაშაულებას, ვინაიდან მათი უმთავრესი მიზანი მოგებაა და ამ დროს ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ორივე მეუღლისათვის მისაღები შედეგის მიღწევით, რაც შეიძლება მტკივნეული იყოს მათი შვილებისა და ოჯახის სხვა წევრებისათვის. აქედან გამომდინარე, მედიაცია საშუალებას იძლევა, მეტი ყურადღება დაეთმოს ბავშვების ინტერესებს, რაც, თავის მხრივ, მშობლებს არწმუნებს, რომ ერთად იზრუნონ ბავშვების კეთილდღეობისათვის.

მედიაცია მხარეებს აძლევს სრულ თვისუფლებას განქორწინების შემდეგ ბავშვების ცხოვრებაში მონაწილეობის მხრივ. მედიაციის შეთანხმებაში მათ შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ ბავშვების მონახულების განრიგი, ვითარებები, თუ ვინ გადაიხდის ბავშვის სწავლის, დაზღვევის ხარჯებს და ა.შ. ასევე ურთიერთშეთანხმებით შეიძლება გადაწყდეს ალიმენტის ოდენობა, გადახდის ვადები და სვხა ალტერნატიული გზები.[47]

ჩემი აზრით, მედიაციას ყველაზე ეფექტური შედეგი სწორედ ოჯახური კონფლიქტების მოგვარებისას აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახური კონფლიქტები ძალიან სენსიტიური თემაა. მე მიმაჩნია, რომ სასამართლო ფორმალობების გვერდის ავლა და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა უფრო დადებითად იმოქმედებს მოდავე მხარეების სამომავლო მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებაზე. მედიაცია მუშაობს უკეთ ვიდრე სასამართლო დაპირისპირება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მედიატორზე დიდწილად დამოკიდებულია მედიაციის წარმატებით დასრულება, რადგან ის არის მთავარი მოქმედი პირი, თუმცა მხარეებს უნდა გაუჩინოს განცდა, რომ ისინი არიან პროცესის მთავარი შემოქმედნი და რეალურად ასეც არის გადაწყვეტილების მიღების ნაწილში, თუმცა მედიატორის მხრიდან ამ ყველაფრის სწორი დაგეგმარების გარეშე მხარეები შედეგს ვერ მიაღწევენ, ეს რომ მათ შეძლებოდათ მედიატორის დახმარების გარეშე მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენება მათ არ დასჭირდებოდათ.

მედიატორმა ყუჯრადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რამდენად არიან ჩართულნი მიმდინარე მედიაციაში ისინი, ვინც რეალურად იღებს გადაწყვეტილებას საკითხის გარშემო. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საოჯახო კატეგორიის დავების მედიაციას. მედიატორმა უნდა ეცადოს პროცესის დაწყებიდანვე გაანალიზოს თუ რამდენად არიან მედიაციაში მოსული მხარეები დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები და თუ იკვეთება სხვა უხილავი ხელის ჩართულობა, ეცადოს და მოიწვიოს ეს მხარე მედიაციაში. აღნიშნულით, ერთი რომ დრო

---

[46] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 38.

[47] მედიაცია-კეთილი ნების შუამავლობისა და პროფესიონალი მომრგიებლის ინსტიტუტი. 2012წ. www.news.com/article/mtavari/sazogadoeba/3532

დაიზოგება პროცესის მიმდინარეობის და მეორე მხრივ რეალურად გამარტივდება საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. [48] ხშირია შემთხვევა როდესაც მხარეები საუბრობენ დავაში არსებულ ფაქტებზე, თუმცა შესაძლებელია რომ ფაქტები ეხებოდეთ გარეშე პირებს, რომლებიც უშუალოდ დავის მხარეებს არ წარმოადგენდნენ, ხოლო მხარეებს ჰქონდეთ ფაქტების ინტერპრეტირების საკუთარი ვერსიები, რაც მათ პოზიციებს აშორებდეს ერთმანეთისგან, რა დროსაც მედიატორი უნდა დაფიქრდეს თუ რამდენად საჭიროა და შეიძლება პროცესზე დადებითი გავლენა იქონიოს ფაქტებთან დაკავშირებით უშუალო მონაწილე და ინფორმაციის მქონე პირების მოწვევამ, რადგან სხვა ალერნატივა რიგ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს, თუ არა მსგავსი ქმედება მედიატორის მხრიდან.[49]

ამასთანავე მედიატორი მზად უნდა იყოს პროცესში ჩართოს მხარის მხრიდან ნომინირებული ნებისმიერი პირი, რომელიც კონფლიქტის მხარეს მიაჩნია, რომ სჭირდება საკუთარი ინტერესების წარმომადგენლად ან მასთან ერთად როგორც პროცესის მონაწილე პირი.[50] მედიატორის საქმიანობა სრულად მხარეების საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ეს არის მთავარი და ამოსავალი მიზანი მედიატორის საქმიანობის. უფრო მეტიც, ევროპაში შეინიშნება პრაქტიკა მათ შორის მედიატორის პასუხისმგებლობის დაზღვევის, რაც დამატებითი დაცვაა პროცესში ჩართული მხარეების ინტერესების.[51]

მედიატორს უნდა ახასიათებდეს გუნდური მუშაობის უნარი, რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება დასჭირდეს ნებისმიერ მედიატორს, რადგან რთულ კომპლექსურ დავებში, როგორიც საოჯახო კატეგორიის დავებია, ფართოდ დაინერგა ე,წ. კო-მედიაციის პრაქტიკა, რა დროსაც მედიატორებს შორის უნდა ეფექტურად გადანაწილდეს ფუნქციები და როლები, რათა მხარეებთან კოორდინირებულად და შედეგიანად განახორციელონ პროცესის ფასილიტაცია. კო-მედიაცია იძლევა საშუალებას უფრო ეფეტური გახდეს პროცესი, რადგან მედიატორთაგან ერთ-ერთი როგორც წესი კონკრეტული დარგის სპეციალისტს წარმოადგენს, რა კატეგორიის დავაც არის განხილვაში, რაც აორმაგებს წარმატების შესაძლებლობას, ისევე როგორც კო- მედიაციის შემთხვევაში ადვილდება პროცესის მართვა და ანალიზი დაგროვილი ინფორმაციის.[52]

---

[48] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 122.

[49] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 14.

[50] ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018. გვ. 69.

[51] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 122

[52] (იქვე) გვ. 123.

მედიატორები განქორწინების საქმეებზე ცდილობენ ფორმალური მოლაპარაკების დაწყებამდე სიტუაციის არაფორმალური განხილვის გზით ხელი შეუწყონ მხარეთა შორის კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას . ზოგიერთი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროცედურა წყვილს ეხმარება შეეგუონ განქორწინების ფაქტს.[53]

მედიატორებს აკისრიათ ვალდებულება განქორწინების მედიაციის მხარეთა შვილების მიმართ, იმ პირის მიმართ, რომელიც ძალადობის, მუქარის მსხვერპლია. რეალურად მედიაციის შედეგმა პირდაპირი გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიაციის არამონაწილე პირთა ფართო წრეზე - შვილებზე, მშობლებზე და სხვა. მხარეთა ინტერესების რეალიზება დასაშვებია მათი თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე იმ დოზით, სადაც მესამე პირების ინტერესების ხელყოფა არ მოხდება.[54]

განქორწინებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია გამოცდილი მედიატორის როლი, რომელიც გათვითცნობიერებული უნდა იყოს ფსიქოლოგიურ ასპექტებში, რაც განქორწინების პროცესს ახლავს. აღნიშნულ ვითარებაში, წყვილები ხშირად განიცდიან მძიმე ემოციურ სტრესს და გამოუცდელი მედიატორის უმნიშვნელო აქტმა შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგი იქონიოს მედიაციის საბოლოო შედეგზე.

მედიაციის არაფორმალური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ შეიძლება მომზადდეს შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება მეუღლეთა მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები, რომელსაც იურიდიული ძალა ექნება.[55]

2.2. საოჯახო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დავების ალტერნატიული გადაწყვეტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ მსჯელობა მედიაციის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მედიაციის დადებით მხარეებად უპირველესყოვლისა მოიაზრება მორიგების დიდი შესაძლებლობა, საარბიტრაჟო და სასამართლო განხილვასთან შედარებით ნაკლები ხარჯები, სწრაფი მოქმედების უნარი,

[53] მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი 2017წ. გვ 98.

[54] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 43.

[55] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 37.

კონფიდენციალურობა, მედიატორების კონკრეტულ სფეროში სპეციალიზირება, რაც ხელს უწყობს დავის მორიგებით დასრულებას, მხარეთა მიერ შედეგების კონტროლის შესაძლებლობას და ა.შ. მედიაცია შეიძლება მაშინაც სასარგებლო იყოს, როცა დავა არც კი წარმოშობილა. თუ ორივე მხარე ხედავს, რომ საქმე რთულდება, მედიაციის დაწყების პროცესის დაწყებით მათ შეუძლიათ ერთად იპოვონ სირთულეების გამომწვევი მიზეზები და ერთად იმუშაონ ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად. ასეთი მიდგომა დავის წარმოშობას საერთოდ გამორიცხავს. [56]

მედიაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე იმაშიც გამოიხატება, რომ მედიატორის დახმარებით ინტენსიური მოლაპარაკების წარმოება ხელს უწყობს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების აღდგენას.

საოჯახო დავებში, განქორწინების მედიაციას უამრავი დადებითი მხარე დავის განხილვის ტრადიციულ საშუალებებთან შედარებით. განქორწინების პროცესში არასრულწლოვანი ბავშვის მშობლები მედიატორის თნდასწრებით თანხმდებიან სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, ვიდრე სასამართლო პროცესის დროს. შესაბამისად მცირდება განქორწინების შემდგომი დავების არსებობის შანსი. ამასთან მედიაციის პროცესის ეფექტურობა დავის შეთანხმებით დასრულების გამო მხარეთა პოზიტიური ფსიქოლოგიური და ემოციური ასპექტების არსებობით გამოიხატება.

პროფესორი კენეტ ჯ. რიგბი გამოყოფს მედიაციის შემდეგ დადებით ასპექტებს. 1) მედიაცია ახდენს მხარეთა შორის კომუნიკაციის გახსნას. 2) მხარეები მესამე პირის დამხარებით აღწევენ შეთანხმებას და არ ხდება დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. 3) დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა ახდენს პრობლემების პრევენციას. 4) მედიაცია უზრუნვეყოფს პრობლემის გატანას სასამართლო დარბაზიდან ნეიტრალურ სივრცეში. 5) მოგვარებული დავა დიდი ხნის განმავლობაში აგრძელებს არსებობას, ვინაიდან, იგი ორივე მხარის ნებაყოფლობითი შეთანხმებაა. 6) მედიაცია, სასამართლო პროცესთან შედარებით, არის უფრო სწრაფი და იაფი. 7) მედიაცია ეხმარება მხარეებს პობლემიოს იდენტიფიცირებაში, ამცირებს მხარეთა შორის გაუგებრობას. 8) მედიაცია მიმდინარეობს კერძ სივრცეში. 9) მედიაცია იძლევა ყოველგვარი დავების მოგვარების საშუალებას, მათ შორის ისეთი დავებისა, რომელთაც არ აქვთ სამსართლებრივი საფუძველი. 10) მედიაციის პროცესის განხორციელება უფრო ადვილად არის შესაძლებელი სასამართლოსთან შედარებით. 11) შესაძლებელია მოხდეს არამხოლოდ დავის, არამედ მისი კიზეზების აღმოფხვრა. 12) ამცირებს მხარეთა შორის დაძაბულობას. 13) საშუალებას აძლევს დავის მხარეებს მოახდინონ საქმიანი ურთიერთობის აღდგენა. 14) ხელს უწყობს ბავშვების შეგუებას განქორწინების პროცესთან, ასევე განქორწინების შემდგომ მშობლების თანამშრომლობას. 15) ამცირებს უსამართლობის, დამარცხების გრძნობას ბავშვებთან

[56] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 37.

მიმართებაში. 16) ამცირებს სახელმწიფოს ჩარევას საოჯახო სამართლებრივი საკითხების განხილვაშ. [57]

მედიაციის უარყოფით მხარეებზე იმ დოზით არ საუბრობენ მაგალითად როგორც დადებით მხარეებზე, თუმცა მათზეც ღირს ყურადღების გამახვილება.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მედიაციის პროცესი არც ისეთი იაფია, როგორც ამაზე ხშირად მიუთითებენ. მაგალითად ის პრონციპში საარბიტრაჟო განხილვაზე იაფი არ არის. [58] თუმცა ძვირია მედიაცია თუ იაფია, ეს უფრო შეფასების საკითხია. შეიძლება, რომ ერთი და იგივე პირმა ერთი და იმავე ფორმის მედიაცია ხელმისაწვდომად, ან ნაკლებად ხელმისაწვდომად მიიჩნიოს.

ხშირად მედიაციის უარყოფით მხარედ ასახელებენ გადაწყვეტილების არასავალდებულო ხასიათს, ანუ პროცესის დასრულებას სააღსრულებლო ფურცელის გარეშე. მედიაციის წარუმატებლობით დასრულების შემთხვევაში ეს არის ფულის და დროის აბსოლიტურად უსარგებლო ხარჯი მხარეებისთვის.[59]

მედიაციის ყველაზე დიდ ნაკლად მიიჩნევენ მისი გავრცელების შეზღუდულ მასშტაბებს და საზოგადოების არაინფორმირებულობას. როგორც ამბობენ ჯერჯერობით მედიატორები უფრო მეტნი არიან, ვიდრე თვით მედიაციის პრეცედენტები.[60]

უარყოფით მხარეებად ჩაითვლება, რომ იგი 1) არ გამოიყენება ყველა კატეგორიის დავის გადაწყვეტისთვის. 2) ყველა შემთხვევაში არ შეიძლება განხილული იქნეს,როგორც სასამართლო წარმოებაში სწრაფი და იაფი საშუალება. 3) მას ჭირდება მოდავე მხარეთა კომუნიკაცია და დავის მოგვარების სურვილი. 4) მედიაციის პროცესის წარუმატებლად დამთავრების შემდგომ შესაძლებელია გამჟღავნებული ინფორმაცია მხარის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული სასამართლოში. 5) გადაწყვეტილებას აქვს არასავალდებულო ხასიათი და შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი მხარის მიერ მედიაცია გამოყენებულ იქნეს, როგორც დავის გაჭიანურების საშუალება.[61]

მედიაციის მნიშვნელოვანი პრობლემა, განსაკუთრებით საოჯახო საქმეებში, გახლავთ მხარეთა უთანასწორობა, მათ შორის არსებული ურთიერთობებიდან

---

[57] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 83.

[58] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 31.

[59] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 16.

[60] (იქვე) გვ. 16, 17.

[61] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 81.

გამომდინარე. ხშირად, სამართალწარმოების ერთი მხარე ფსიქიკურად უფრო ძლიერია - მაგალითად, ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი პირი - ხოლო მეორე მხარე დაზარალებულია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ისე, რომ წნეხის, შიშის ან უთანხმოებისგან დაღლილობის გამო და დავის დასრულების სურვილით, პირი ადვილად დაეთანხმოს მსგავს დათმობას - არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ბავშვის გამოც. ასეთ შემთხვევაში არსებობს მნიშვნელოვანი ეჭვი, შეიძლება თუ არა ამ მხარეების მედიაცია. საოჯახო საქმეების ამომწურავად გადაწყვეტისათვის და სამომავლოდ მათი სასამართლოში მიმართვიანობის ასაცილებლად, ასევე მოსამართლის გადმოსახედიდან, ex officio მოქმედების ვალდებულება და გადაწყვეტილებათა მიღება (შუამდგომლობის გარეშე და იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც მხარეთა შუამდგომლობა არ მოიცავს) ხშირად მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილებას, როგორიცაა მხარეთა გადამისამართება უპირველესად ექსპერტ ფსიქოლოგებსა და პედაგოგებთან. გარდა ამისა, შეხვედრის განმავლობაში ექსპერტი, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მიუხედავად, ახორციელებს კვაზისამედიაციო აქტივობებს - მხარეები თანხმდებიან და მიღწეული შეთანხმება ხდება სასამართლო მორიგების საფუძველი.[62]

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციას ყველა პრობლემის გადაწყვეტა არშეუძლია და აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მისი პოპულარულობა მსოფლიოშ სულ უფრო და უფრო იზრდება. სულ უფრო მიმზიდველი ხდება დავის მოგვარების ისეთი ალტერნატიული საშუალება, რომელიც მხარეებს საშალებას მისცემს უფრო თავისუფლად ეძებონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება.

2.3. მედიაცია, როგორც მატერიალური და არამატერიალური რესურსების დაზოგვის საშუალება საოჯახო მედიაციაში

1.ფინანსური დანახარჯები

მხარეები, რომლებიც სასამრთლოს ამჯობინებენ და ამავდროულად, ცხოვრობენ ისეთ მეგაპოლისებში, როგორებიცაა ჩიკაგო, ლოს– ანჟელესი, ნიუ იორკი, მზად უნდა იყვნენ, გაიღონ დაახლოებით 60 000$. გარდა ამისა, სამართალწარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს მათ შორის უფრო დიდი კონფლიქტი, რასაც თავისთავად ხარჯების გაზრდაც მოჰყვება. მედიაცია იძლევა საშუალებას, დავა მოგვარდეს 3000$ ის ხარჯით. შეასაბამისად, გამოდის, რომ ფინანსური რესურსი იზოგება დაახლოებით 57 000$ ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.

[62] მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი 2017წ. გვ. 131.

საქმის აღძვრა სასამართლოში მოითხოვს შესაბამის ხარჯებს და შესაძლოა გაგრძელდეს თვეები. არაპირდაპირი ხარჯების გარდა იქმნება დროის დანახარჯიც: სასამართლო დოკუმენტების კითხვა, ადვოკატებთან კონსულტაცია, სასამართლო პროცესებზე დასწრება. ზემოაღნიშნულთან კონტრასტში, მედიაცია დროში შეზღუდულია, რაც ხარჯების შეზღუდულობასაც ნიშნავს. NFM-ის მიერ გამართული მედიაციის პროცესებიდან 2/3, როგორც წესი, წარმატებულად მთავრდება. პოტენციური ხარჯების დანაზოგი აღემატება სამართალწარმოების ხარჯებს.[63]

ესპანური მედიაციის ცენტრის ADIMER -ის მედიატორს მოუწია პროცესის გამართვა განქორწინებასთან დაკავშირებით, მხარეები იყვნენ ფრანგები, საქმე ეხებოდა ბავშვსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიატორისათვის მედიაციის პროცესი იოლი არ იქნებოდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მედიატორი ესპანურენოვანი იყო. მხარეები ცხოვრობდნენ ესპანეთში და იცოდნენ ენა ძალიან დაბალ დონეზე. მედიატორი უხსნიდა პროცედურას ესპანურად, ხოლო პროცესის განმავლობაში მხარეები საუბრობდნენ ფრანგულად. მედიაცია წარმატებულად დასრულდა, რაც, იმაზე მიუთითებს, რომ ლინგვისტური ბარიერის მიუხედავად პროცესი კარგად წარიმართა.[64]

რა შედეგი დადგებოდა საქმე რომ წასულიყო სამართალწარმოების გზით? არ დაიზოგებოდა შემდეგი რესურსები: რა თქმა უნდა ფინანსური რესურსი: აუცილებელი იქნებოდა ორენოვანი ადვოკატის მოძებნა. (მხარესთან ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ფრანგულად და სასამართლოში ესპანურად). თარჯიმნის ხარჯები, ზოგადად სასამრთლო ხარჯები. მეორე: დროის ფაქტორი - ერთი მხარე მიდიოდა საფრანგეთში და მასთან ბავშვი დროგამოშვებით უნდა ჩასულიყო, შესაბამისად, რაც შეიძლება მოკლედ დროში უნდა გადაწყვეტილიყო დავა რომ არც მხარე დაზარალებულიყო და არც ბავშვი. გასათვალისწინებელია ემოციური ფაქტორიც, ამ შემთხევაში ბავშვის ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებდა ხანგრძლივი სასამართლო პროცესი და მშობლების უთანხმოება, რაც თავის მხრივ მშობლებზეც აისახებოდა.

2.დროის ფაქტორი

იმ შემთხვევაშიც კი, თუ წყვილი შეთანხმებულად მოქმედებს, პროცესი დაახლოებით 18 თვე მაინც იწელება. ამ დროის განმავლობაში ოჯახის წევრები, თითქოს ერთ წრეზე მოძრაობენ და ვერ გადადიან ცხოვრების შემდეგ ეტაპზე. მეორე მხრივ, მედიაციის საშუალებით საქმის მოგვარება შესაძლებელია რამდენიმე საათში ან კვირაში, ანუ მხარეები თვითონ აკონტოლებენ დროს.[65]

---

[63] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ 72

[64] (იქვე) გვ. 72, 73.

[65] ს.მ. ოსტერმილერი. დ.რ. სვენსონი - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2014წ. გვ 19.

3.შრომის პროდუქტიულობის როგორც რესურსის დაზოგვა

განქორწინება სამუშაო ადგილთან უშუალოდ დაკავშირებული არაა, თუმცა, ზოგადად, კონფლიქტი, მიუხედევად იმისა თუ სად წარმოიქმნება, უარყოფითად მოქმედებს პირის შრომის ნაყოფიერებაზე. პროცესის თარიღებმა და ადვოკატებთან განუწყვეტელმა კონსულტაციებმა შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები შეიწიროს. სტრესი, თავის მხრივ, იწვევს უყურადღებობასა და ქმედუნარიანობის დაქვეითებას სამსახურში. მედიაციის შედეგად დავის ეფექტური გადაწყვეტა მინიმალურ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე.[66]

4.ემოციური რესუსრსის დაზოგვა

განქორწინება აღიარებულია 5 ცხოვრებისეულ სტრესს შორის ერთ-ერთად. ეს არის გამოცდილება, რომელიც თვითკონტროლს ასუსტებს, რასაც, თავის მხრივ, დიდ ემოციურ დანახარჯებამდე მივყავართ. სამართალწარმოება უფრო ამძაფრებს სტრესს. კერძოდ, ადვოკატები და თვითონ სასამართლო პროცესი ხდება დამატებითი სტრესის წყარო. მედიაციის შემთხვევაში სტრესი მცირდება.[67] ყურადღება კონცენტირირებულია შეთანხმებებზე (არა აქვს მნიშვნელობა, რა მოცულობის) და თითოეული მხარის ემოციური მდგომარეობა უმჯობესდება. შესაბამისად, პროცესიც და პროცესის შედეგიც ამცირებს ემოციურ დანახარჯებს.

5.ჯანმრთელობის რესურსის დაზოგვა

სტრესი წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, ვინაიდან უარყოფითად აისახება პირის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე. არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელთა ჯანმრთელობაც რისკის ქვეშაა ისეთი დაავადებების გამო, როგორებიცაა: გულის დაავადებები, დიაბეტი, ჰიპერტონია და ა.შ. აქედან გამომდინარე განქორწინებას, რომელიც სასამართლო პროცესით წარიმართება, შეიძლება, სასამართლო გადაწყვეტილების გარდა, ჰქონდეს სხვა თანმდევი შედეგებიც. მედიაცია არა მარტო ამცირებს სტრესს პროცესის მინდინარეობისას, არამედ ამცირებს კონფლიქტების შედეგად სტრესის მიღების შესაძლობლობას მომავალშიც.[68]

---

[66] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 73.

[67] კონფლიქტების გადაწყვეტის ტაქტიკები და მედიაციის პრინციპები. 2017წ. http://mediationstudent.blogspot.com/2017/06/blog-post.html

[68] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ 159.

2.4. ადვოკატის და ნოტარიუსი მედიატორის როლი საოჯახო მედიაციის პროცესში

ადვოკატი

სტატისტიკის თანახმამ სამოქალაქოსამართლებრივი დავების უმრავლესობა გადაიჭრება მედიაციის საშუალებით. მედიაციის სტანდარტულ შემთხვევებში მოიაზრება პროცესის მონაწილეობა მხოლოდ მხარეთა მონაწილეობით, თუმცა წარმომადგენელთა, ადვოკატის ჩართულობას მედიაციის პროცესში ითვალისწინებს UNIFORM MEDIATION ACT. ამ აქტის მე-10 მუხლით ადვოკატს ან სხვა ინდივიდს, რომელთაც აქვთ მინიჭებული უფლებამოსილება, არის დანიშნული მხარის მიერ, შეუძლიათ, მხარესთან ერთად მიიღონ მონაწილეობა მედიაციის პროცესში. აღნიშნული აქტი მხარეებს ანიჭებს არჩევანის თვისუფლებას.[69] არ არის დადგენილი მოთხოვნა, რომ წარმომადგენელი ჩაერთოს მედიაციის პროცესში, თუმცა ეს შესაძლებელია.

დღესდღეობით ადვოკატის მონაწილეობა მედიაციის პროცესში, მხარეებთან ერთად ნორმად ითვლება. ასეთ დროს მოლაპარაკებებს ძირითდად ადვოკატი აწარმოებს, მაგალითად განქორწინებასთან დაკავშირებულ მედიაციას.[70]

ადვოკატთა მონაწილეობა მედიაციის პროცესში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სხვადასხვა გარემო ფაქტორებზე, მათ შორის, განსახილველ საქმეზე, მხარეთა შეხედულებებსა და მედიატორზე. მედიაციის პროცესის კლასიკური მოდელი გულისხმობს მედიაციის პროცესს მხარეთა ადვოკატების გარეშე. ეს მოდელი ძირითადად გამოიყენება საოჯახო მედიაციის დროს, სადაც მხარეები ადვოკატების გარეშე აწარმოებენ მედიაციის პროცესს. დღეს ეს მიდგომა შეიძლება ითქვას ნაწილობრივ შეიცვალა. თუმცა, სხვადასხვა მყარი საფუძვლების არსებობის გამო მიჩნეულია, რომ ადვოკატები უშუალოდ არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას მედიაციის პროცესში.[71] მიუხედავად ისეთი შემთხვევებისა, სადაც ადვოკატი უპირატესად მხარეთა იურიდიული მრჩეველის როლში გვევლინება, მას მაინც შეუძლია გარკვეულწილად მონაწილეობა მიიღოს მედიაციის პროცესში. [72]

---

[69] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 109.

[70] კონსტანტინე კორკელია. ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. სტატიათა კრებული. თბილისი 2014წ.

[71] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 241.

[72] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 73.

მედიაციის პროცესში მხარე მაქსიმალურად ცდილობს თავისი ინტერესების დაცვას, როგორც პროცესის მიმდინარეობისას, ისე მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებაში. ამიტომ, მხარეები ცდილობენ თავიანთი ინტერესები ისეთი წარმომადგენლების სახით დაიცვან, რომლებიც გაცნობიერებულნი იქნებიან არსებულ საკანონმდებლო ნორმებში და ადვილად შეეძლებათ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ერთი მხრივ, მისი მარწმუნებლის ინტერესების შესაბამისი იქნება და მეორე მხრივ, წინააღმდეგობაში არ მოვა კანონმდებლობასთან. შესაბამისად, მედიაციის პროცესში არასდროს გამორიცხული არ არის უშუალოდ დავის მონაწილე მხარეთა გარდა ვიხილოთ ადვოკატები, რომლებიც ყოველთვის შეეცდებიან მედიაციის პროცესი რაც შეიძლება მეტად წარმართონ იმ კუთხით რომ მათი "კლიენტის" ინტერესები იქნას უპირატესად დაკმაყოფილებული.[73] პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სასურველია ადვოკატების უშუალო მონაწილეობის გარეშე წარიმართოს საოჯახო მედიაციის პროცესი. აღნიშნული მიდგომა გამართლებულია იმით, რომ საოჯახო მედიაცია თავისი სამართლებრივი შინაარსით მეტად კონფიდენციალური და სენსიტიურია. პრაქტიკოსთა შეხედულებით, ამ დროს უმჯობესია დაპირისპირებული მხარეები უშუალოდ მონაწილეობდნენ მედიაციის პროცესში და ადვოკატების გარეშე აწარმოებდნენ მოლაპარაკების პროცესს. აღნიშნული მიდგომა არ უნდა ჩაითავალოს მართებულად. მედიაციის პროცესი მთლიანად თვითპასუხისმგებლობაზე დაფუძნებული პროცესია. შესაბამისად, მხარეთა გადასაწყვეტია მოლაპარაკებას წარმართავენ, თუ არა ადვოკატების მონაწილეობითა და წარმომადგენელთა დახმარებით. უმჯობესია, მედიაციის პროცესი მთლიანად მხარეთა ნების თავისუფლებას დაუქვემდებაროთ და მივცეთ საშუალება თავისუფლად განსაზღვრონ წარმომადგენლობის საკითხი.[74] რაც შეეხება ადვოკატთა უშუალო მონაწილეობას ანუ, ერთპიროვნულად მხარის (წარმოდგენილის) გარეშე მონაწილეობას საოჯახო მედიაციის პროცესში შესაძლოა არც კი ჩაითვალოს გამართლებულად რადგან, მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების დამტკიცებისთვის სავალდებულოა უშუალოდ მხარეთა თანხმობა შეთანხმების სავალდებულო ძალის შესახებ.

ნიტარიუსი მედიატორი

ნიტარიუსს უფლება აქვს, მედიაცია გამოიყენოს ყველა საზმეზე, რომელსაც სასამართლო მედიაცია ითვალისწინებს. გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის

[73] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 242.

[74] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 153.

განხორციელების სპეციალური წესი.[75]ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 381 -ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოთვლის იმ შესაძლო დავებს, რაც შეიძლება სანოტარო მედიაციის პროცესს დაექვემდებაროს. მათგან ერთ-ერთი არის საოჯახო სამართლებრივი დავა.[76] საოჯახო დავების განხილვის დროს, (მაგ, განქორწინების საქმეებზე) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნოტარიუსი მედიატორის როლი, რადგან მხარეებს ამ დროს ცოლ-ქმარს მხოლოდ ფორმალური კავშირი აქვთ ერთმანეთთან და შეჯიბრობითობის პრინციპით მოქმედებენ. განსაკუთრებით წარმომადგენლის ყოლის შემთხვევაში, თითოეული ადვოკატი ცდილობს ერთმანეთის დადანაშაულებას, ვინაიდან მათ უმთავრეს მიზანს მოგება წარმოადგენს და ამ დროს ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ორივე მეუღლისათვის მისაღები შედეგის მიღწევით. რაც შეიძლება მტკივნეული იყოს მათი შვილებისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვის ინტერესებთან მიმართებით ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპიც კი, როგორიც კონფიდენციალურობაა საოჯახო მედიაციის პროცესის დროს ითვალისწინებს გამონაკლისებს, კერძოდ: კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა გაუმართლებელია იმ შემთხვევაში, როცა საფრთხე ექმნება საჯარო წესრიგსა და ბავშვის უპირატეს ინტერესებს. შესაბამისად, სასურველია "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდეს შემდეგი სახის საკანონმდებლო ნორმა:

დაშვებულია კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა, თუ მედიაციის პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ზიანს აყენებს ბავშვის უპირატეს ინტერესებს.[77]

განქორწინების საქმეებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას მნიშვნელოვანია გამოცდილი ნოტარიუსი მედიატორის როლი, რომელიც გათვითცნობიერებული უნდა იყოს ფსიქოლოგიურ ასპექტებშიც. ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში არ არის ადვილი მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებით ბავშვის ინტერესების დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნოტარიუს მედიატორებს გარდა სამართლის ნორმების კარგად და სიღრმისეულად ცოდნისა, ასევე მოეთხოვებათ გარკვეული ფსიქოლოგიური "სტრატეგიების" გაანალიზება და გამოყენება. [78]

---

[75] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 35.

[76] საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ. თბილისი 2018წ. მუხლი 38[1].

[77] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 69.

[78] სანოტარო მედიაცია. 2017წ. https://kartlosinews.files.wordpress.com/2015/1/mediaciis-centri-2014.pdf

2.5. განქორწინების მედიაცია

განქორწინების მედიაცია, როგორც ასეთი, არ არის ოჯახის შენარჩუნებისთვის მიმართული ინსტიტუტი. იგი არსებობს იმისათვის და მისი არსებითი მიზანი არის ის, რომ ცოლ-ქმრის დაშორების პროცესმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს და მედიატორების დახმარებით მეუღლეებმა შეძლონ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა მშობლების მოვალეობები, ქონების გაყოფა და სხვა. განქორწინების მედიაციის მონაწილეები არიან მედიატორი და მეუღლეები. მედიაციის პროცესი ძირითადად მიმდინარეობს დაშორებამდე ან რიგ შემთხვევებში, დაშორების შემდეგ. მომრიგებელი, ანუ მედიატორი პროცესის წარმართვაზეა პასუხისმგებელი, ხელს უწყობს დავის მორიგებით დამთავრებას, ხოლო გადაწყვეტილებას თავად მხარეები - მეუღლეები იღებენ. [79]

იმ მეუღლეებმა, რომლებიც განქორწინებას აპირებენ, უკეთესი იქნება განიხილონ დავის მოგვარება მედიატორის დახმარებით, რომელსაც შეუძლია იმუშაოს თითქმის ყველასთან და აქვს პროცესში მონაწილეობის დიდი გამოცდილება.

- განქორწინების მედიაცია არის გაცილებით იაფი, ვიდრე სასამართლო განხილვა და მოსმენის სხდომა.
- განქორწინების მედიაციის უმეტესი ნაწილი მთავრდება ყველა იმ პრობლემების მოგვარებით, რომელიც ამ პროცესს თან ახლავს.
- განქორწინების მედიაციის პროცესი არის კონფიდენციალური და იქ არ არის საჯარო ჩანაწერი თუ რა ხდება მიმდინარე სესიებში.
- განქორწინების მედიაციის პროცესი ეხმარება მხარეებს მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომელიც მისაღებია მათი სიტუაციისთვის, განსხვავებით სასამართლო გადაწყვეტილებისაგან, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა სამართლებრივ პრინციპებზე.
- განქორწინების მედიაციისას მხარეებს ისევ შეუძლიათ ყავდეთ ადვოკატები, რომ მიიღონ სხვადასხვა იურიდიული კონსულტაციები, მათი სურვილის შესაბამისად.
- განქორწინების მედიაციაში მხარეებს - მეუღლეებს შეუძლიათ აკონტროლონ პროცესი და არა სასამართლოს.
- განქორწინების მედიაციას შეუძლია გააუმჯობესოს მხარეებს შორის ურთიერთობა და თავიდან აიცილონ მომავალი კონფლიქტები.[80]

სხვადასხვა კვლევების თანახმად, წყვილები, რომლებიც განქორწინებისათვის მედიაციის პროცესს მიმართავენ, მეტად კმაყოფილნი არიან შედეგით, იმათთან

[7979] პელაგია მახაური, ბექა ხიტირი. განქორწინების მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიული ფაკულტეტი. მე-7 სემესტრი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012წ. გვ. 6.

[80]Emili Doskow. Divorece Mediation Basics. Overview of using Mediation to resolve divorce. https://emilydoskow.com/mediation/divorce/

შედარებით რომელთა განქორწინებაც სასამართლოს მეშვეობით მოხდა.[81] ამავე დროს, უკვე როგორც მრავალჯერ აღვნიშნე, მედიაციის პროცესში ხარჯები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სასამართლო წარმოებაზე გაწეული ხარჯები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ განქორწინებისას მედიატორს წყვილები ყველაზე ხშირად მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მიმართავენ. სწორედ ამ დროს მედიატორის სწორი სტრატეგია და მოლაპარაკების პროცესი გაცილებით ეფექტური იქნება ვიდრე, სასამართლო წარმოების დროს მეუღლეთა პოზიციების სამართლებრივი შეფასება.

ყველა დადებითი მხარის მიუხედავად, განქორწინების მედიაცია შეიძლება არ იყოს მიზანშეწოლილი მაშინ,. როდესაც ოჯახურ ძალადობას აქვს ადგილი. მედიატორები და ქალთა ადვოკატები თანხმდებიან, რომ არსებობს ძალადობის შემთხვევები, როდესაც მედიაციის პროცესის გამოყენება არ იქნება სწორი, თუმცა ზოგიერთი მიიჩნევს, რომ შესაბამისი დაცვისა და უსაფრთხოების პირობებში მედიაცია ამ შემთხვევაშიც პრობლემის გადაჭრის და მოგვარების საუკეთესო გზაა.[82]

სხვადასხვა ქვეყნებში არის ჩამოყალიბებული საოჯახო და განქორწინების მედიაციის მოდელური სტანდარტები. ესენი განსაზღვრავს მედიატორის როლს და მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებს. სხვადასხვა სტანდარტების თანახმად, მედიატორი, რომელიც განიხილავს განქორწინების და ზოგადად საოჯახო საქმეებს, უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე საჭირო მოთხოვნას:

- უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას საოჯახო სამართალში.
- გააჩნდეს საკმარისი ინფორმაცია, როგორც ბავშვთა განვითარების, ისე ოჯახური ძალადობისა და მშობელთა კონფლიქტის შვილზე გავლენის შესახებ.
- მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელ საკითხებზე შესაბამისი ტრენინგი

მედიატორმა პროცესის დაწყებამდე მხარეები უნდა გაარკვიოს მედიაციის პროცესის არსში და ამავე დროს შეაფასოს მხარეთა მორიგების შესაძლებლობები. პროცესის მიმდინარეობისას უგულებელყოფილი არუნდა იქნას ბავშვების ინტერესები და უფრო მეტიც, მათ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ.[83]

საოჯახო მედიატორზე ვრცელდება მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის ვალდებულება. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მედიატორსა და მხარეებს შორის უნდა იყოს კონფიდენციალური, ისევე როგორც ექიმსა და პაციენტს, ასევე ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, რადგანაც

---

[81] ICCA-კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო. სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-ორკის კონვენციის განმარტებაზე. გამოცემულია კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს მიერ. 2013. გვ 122.

[82] პელაგია მახაური, ბექა ხიტირი. განქორწინების მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიული ფაკულტეტი. მე-7 სემესტრი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012წ. გვ. 4.

[83] The symposium on standards of practice (aba house of delegates). Modes standards of practice of family and divorce mediation. 2001. გვ. 9.

განქორწინების საქმის განხილვისას მხარეები საუბრობენ ძალიან ინტიმურ თემებზე, საკუთარ თავზე, ერთმანეთზე, შვილებზე და ა.შ. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს მხარეთა თავისუფლებას და გულრწრფელობას მედიაციის პროცესში. მოდელური სტანდარტები ითვალისწინებს გამონაკლისს კონფიდენციალურიბის ვალდებულებისგან. კერძოდ, მედიატორს შეუძლია უფლებამოსილ ორგანოებს გადასცენ ინფორმაცია თუ ცხადი ხდება, რომ პროცესის მონაწილე გეგმავს თვითმკვლელობას ან ძალადობის განხორციელებას სხვაზე, ასეთ შემთხვევაში საჯარო კეთილდღეობას ენიჭება უპირატესობა. [84]

განქორწინების მედიაციის დროს განქორწინების მხარეებს უპირველესად უჩნდებათ კითხვა თუ ვისთან დარჩება ბავშვი. სასამართლო პროცესისგან განსხვავებით მედიაციის პროცესში არ ხდება გარკვევა, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვმა, ვისთან უნდა გაატაროს არდადეგები, ვის უნდა დაეკისროს ბავშვის ფინანსური უზრუნველყოფა. მედიაციის პროცესში ხდება მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ და თავად ჩამოყალიბდნენ.(ე.წ. parenting plan)[85] რომლითაც თავად განსაზღვრავენ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს. შეთანხმება ზოგადად შეიცავს სამართლებრივი მზრუნველობისა და ფიზიკური მზრუნველობის პირობებს. სამართლებრივი მზრუნველობა ნიშნავს, რომ ორივე მშობელს აქვს თანაბარი უფლება ბავშვის აღზრდაზე, აქვთ უფლება იზრუნონ ბავშვის განათლებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ფიზიკური მზრუნველობა კი განსაზღვრავს მშობლის მიერ ბავშვის კონტროლს. მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ მიღწეული შეთანხმების პირობების დარღვევისას ჯერ თავად შეეცდებიან უთანხმოების მოგვარებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავენ ისევ მედიაციას. მხარეები ასევე შესაძლებელია შეთანხმდნენ, რომ ბავშვზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ის მშობელი, რომელთანაც იმყოფება ბავშვი მოცემულ მომენტში.[86]

საერთოდ იურისტებში, და არამხოლოდ იურისტებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მონაწილეობდეს უნდა თუ არა ბავშვი მედიაციის პროცესში. ერთნი მიიჩნევენ, რომ ბავშვებს აქვთ უფლება იცოდნენ, თუ რა ხდება მათ ოჯახში, რადგან მშობლების დაშორება მათ გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს, მედიაციის პროცესში მონაწილეობით კი მათ შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ ცვლილებების მიზეზებს. ბავშვების მედიაციის პროცესში მონაწილეობის მომხრეები მიუთითებენ, რომ გაერთიანებული ერების კონვენციით „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“, ბავშვს აქვს უფლება დააფიქსიროს საკუთარი აზრი. მედიაციაში ბავშვების აქტიურ მონაწილეობას ლოგიკურად მიიჩნევენ, რადგან მედიაციის პროცესის საბოლოო შედეგები ბოლოს მათზე ახდენს გავლენას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვები

[84] The symposium on standards of practice (aba house of delegates). Modes standards of practice of family and divorce mediation. 2001. გვ. 9, 10.

[85] სტატია 2018 წ. - Joe Dillon, divorce mediator. “10 Biggest Divorce Mediation Benefits”. https://www.equitablemediation.com/meet-the-team/joe-dillon-divorce-mediator

[86] პელაგია მახაური, ბექა ხიტირი. განქორწინების მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიული ფაკულტეტი. მე-7 სემესტრი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012წ. გვ. 7.

მედიაციის პროცესში რომელიმე მშობლის სასარგებლოდ პოზიციას იკავებს. ბავშვების მონაწილეობით მედიატორსა და მხარეებს უადვილდებათ მშობელთა მზრუნველობის უფლებამოსილებების გადანაწილება, ვინაიდან ბავშვებს შეუძლიათ ჩაერთონ მედიაციის შეთანხმების პირობების ჩამოყალიბებაში. მედიაციის პროცესი სწორედ ბავშვების ინტერესების პრიორიტეტულობას აღიარებს.[87]

მიუხედავად ზემოთ ნახსენებისა ზოგი ბავშვების მონაწილეობას მედიაციის პროცესში არ მიიჩნევს ლოგიკურად. ამის არგუმენტად ასახელებენ, რომ განქორწინების მედიაცია ემოციური პროცესია და ბავშვებმა შესაძლოა გარკვეული ფსიქოლოგიური ტრამვა მიიღონ. ასევე აღნიშნავენ, რომ ბავშვების მონაწილეობისას თითქმის ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ მისი გადაბირება მოხდება რომელიმე მშობლის მიერ.

ბავშვის მედიაციის პროცესში მონაწილეობისას საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშ განსხვავებულად წყდება. იმისათვის. რომ ბავშვმა მონაწილეობა მიიღოს მედიაციის პროცესში საჭიროა, რომ ის ფსიქოლოგიურად მზად იყოს ამისთვის. ასევე უნდა იყოს ისეთ ასაკში, რომ შეძლოს რაციონალურად კა კარგად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი.[88]

ბავშვების მედიაციაში ჩართვა შესაძლოა სხვადასხვა გზით განხორციელდეს:

- მედიატორი გაესაუბრება ბავშვს პროცესის ადრეულ ეტაპზე, რათა მიიღოს ინფორმაცია მისი შეხედულებების, დამოკიდებულების, გრძნობების შესახებ.
- ბავშვის მედიაციის პროცესში ჩართვა შესაძლოა განხორციელდეს პერიოდულად, სხვადასხვა ეტაპზე.
- ბავშვი შესაძლოა მონაწილეობას ირებდეს მთელს პროცესში, როგორც დამოუკიდებელი მხარე.
- ბავშვს შესაძლოა მიმართონ პროცესის ბოლოს, როდესაც შეთანხმება მიღწეულია, თუმცა პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.
- ბავშვი შეიძლება პროცესზე შეუყვანონ პროცესის ბოლოს, რათა გააცნონ შექმნილი სიტუაცია.[89]

როდესაც მედიატორი მიიჩნევს, რომ საჭიროა ბავშვის მონაწილეობა მედიაციის პროცესში, ყველაზე ლოგიკურია, რომ მან ეს უპირველესყოვლისა მშობლებთან შეათანხმოს.

იმისათვის, რომ განქორწინების მედიაცია წარმატებული გამოდგეს საჭიროა, რომ მასში ორი თანასწორი და დამოუკიდებელი მხარე მონაწილეობდეს, მაგრამ ეს უფრო რთულდება იმ სიტუაციაში, როდესაც მედიაციის პროცესი ეხება იმ საკითხს,

---

[87]სტატია 2011წ. - Brian James – divorce mediator. „What Is Divorce Mediation?" https://www.mediate.com/author/Brian-James/850

[88] Emili Doskow. Divorece Mediation Basics. Overview of using Mediation to resolve divorce. https://emilydoskow.com/mediation/divorce/

[89] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 84.

რომელიც ოჯახში ძალადობას ეხება.[90] ოჯახური ძალადობა განიმარტება, როგორც ერთი მეუღლის მიერ მეორეს კონტროლი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობით. რა თქმა უნდა სავსებით ლოგიკურია, რომ მეუღლეს, რომელიც ასთ ძალადობას განიცდიდა მეორეს მხრიდან, გაუჭირდება მასთან მედიაციის პროცესში მონაწილეობა და მასთან თანაბარ პირობებში მოლაპარაკება. მითუმეტეს მაშინ, თუ ფავითვალისწინებთ, რომ ძალადობა ხშირად არ სრულდება ქორწინების დასრულებასთან ერთად, ის ხშირად განქორწინების შემდეგაც გრძელდება და ამის არაერთი მაგალითია საზოგადოებაში. ვფიქრობ, რომ მედიაციის პროცესის წარმოება, მაშინ როდესაც ძალადობა ჯერ კიდევ გრძელდება, დამატებით შანს ქმნის მისი ხელახალი განხორციელებისა. ამ დროს როგორც ზემოთ აღვნიშნე მოძალადისთვის ცნობილი ხდება სხვადასხვა ფაქტი და გარემოებები მეუღლის შესახებ. ამ დროს მედიაციის გამოყენება თითქმის იმას გულისხმობას, რომ შეურიგდეს მოძალადეს. ვფიქრობ, რომ სწორედ ამის გამო, როდესაც საოჯახო მედიაცია უმეტესად თითქმის ყველგან სავალდებულოა, ის რომელიც უშუალოდ ძალადობასთან არის დაკავშრებული არ გახლავთ სავალდებულო. ამის მთავარი მიზანი კი სწორედ ჩამოთვლილი პრობლემების თავიდან აცილებაა.

უამრავი სპეციალისტის აზრით, ის პრობლემები რაც ზემოთ აღვნიშნე არამარტო მედიაციის, არამედ განქორწინებასთან დაკავშირებული საქმის სასამართლო წარმოებასთანაც გვხვდება. მისაღები აზრია, რომ ასეთ დროსაც მედიაცია სასურველი შედეგია, რადგან სასამართლო წარმოების, შეჯიბრებითობის პროცესის დროს ადვილად შესაძლებელია ძალადობის კიდევ მეტად ესკალაცია, რაც უფრო გამორიცხულია მედიაციის პროცესის დროს და შესაბამისად მხოლოდ მედიაცია გვთავაზობს კიდევ უფრო უსაფრთხო მეთოდს.[91]

---

[90] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 49.

[91] პელაგია მახაური, ბექა ხიტირი. განქორწინების მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. მე-7 სემესტრი. 2012წ. გვ. 11.

თავი III. საოჯახო მედიაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

3.1. საოჯახო მედიაცია საქართველოში

როგორც არაერთხელ ვახსენე მედიაცია საქართველოში დიდი ხნის წინათაც არსებობდა, თუმცა სამართლებრივად 2011 წლის 21 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ „ საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მთავარი საკითხი სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის შემოტანა იყო.[92] კანონპროექტის მირების მიზეზი გახლდათ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების - მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობდა მხარეთა შორის დავის აღმოფხვრას მათი შეთანხმების შესაბამისად და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რათა დავა მოეგვარებინათ ურთიერთშეთანხმებით არასასამართლო გზით.

კანონპროექტი მალევე 2011 წლის 20 დეკემბერის მიიღეს, ამოქმედდა 2012 წლის პირველ იანვარს.[93] პირველი იანვრიდან ფაქტობრივად ამოქმედდა სასამართლოზე დამყარებული მედიაცია, რომლითაც სასამართლო ხელს უწყობს მედიაციის პროცესის შესაბამისობას კანონთან და მხარეთა სურვილის შემთხვევაში მზად არის დაამტკიცოს და იურიდიულად სავალდებულო ძალა მიანიჭოს მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს.[94]

საქართველოს კანონმდებლობაში საოჯახო ან განქორწინების მედიაცია, როგორც ტერმინი გათვალისწინებული არ არის. ამის ნაცვლად გათვალისწინებულია საოჯახო სამართლებრივი დავების მედიატორის დახმარებით მოგვარების საშუალება, რაც საოჯახო მედიაციის სფეროს განეკუთვნება.[95]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^1 მუხლის მიხედვით სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეები შეიძლება გადაეცეს მედიატორს დავის შეთანხმებით დასრულების მიზნით. კოდექსის 187^3 მუხლის მიხედვით სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს:

---

[92] საქართველოს პარლამენტი http://parliament.ge/ge/law/7675/15264

[93] (იქვე)

[94] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 152.

[95] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 92.

ა) საოჯახოსამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობათან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლებიშ შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, ასევე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახშ ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა.

ბ) სამემკვიდრეოსამართლებრივ დავებზე.

გ) სამეზობლოსამართლებრივ დავებზე.

დ) ნებისმიერ დავაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. (ამ დროს საქმის გადაცემა დასაშვებია საქმის ნებისმიერ ეტაპზე განხილვის დროს)[96]

როგორც ზემოთ აღნიშნულისგან ჩანს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინა, როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი მედიაცია. არჩეულია შუალედური მიდგომა. ე.ი. მხოლოდ სამი კატეგორიის საქმეზე არის დასაშვები სავალდებულო მედიაცია, დანარჩენზე, კი ის მხარეთა ნებაყოფლობითობით შეთანხმების საგნად დატოვა.

ერთ-ერთი საინტერესო დეტალი ქართული სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის მეორე პუნქტის დათქმა, რომ მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის, ანუ მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება დავა გადაეცეს მედიაციას ნებისმიერ სტადიაზე, რაც იმას ნიშნავს , რომ სავალდებულო მედიაციის შესახებ განჩნების მიღება მოსამართლეს მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე შეუძლია და არა ნებისმიერზე.[97] მათ შორის რა თქმა უნდა შედის საოჯახოსამართლებრივ დავებთან დაკავშირებული საქმეები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[1] მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით მედიატორისთვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ გასაჩივრდება.[98] ამით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა მედიაციის ინსტიტუტს, სავალდებულო მედიაციას განიხილავს, როგორც სასამართლოში საქმის წარმოების პროცესის ნაწილად. ის, რომ გარკვეული კატეგორიის დავები, მათ შორის საოჯახოსამართლებრივი დავები, სავალდებულო მედიაციას გადაეცემა ისე, რომ მხარეებს ამ განჩნების გასაჩივრების უფლებაც კი არ აქვთ არ არის კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა, ის არის სასამართლოს ადმინისტრირების პროცესში მიღებული გადაწყვეტილება.[99] ამგვარ დამოკიდებულებას არაერთი ქვეყანა იცნობს.

---

[96] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2018წ. მუხლი 187[3].

[97] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 131.

[98] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2018წ. მუხლი 187[1].

[99] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 62.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში სასამართლო მედიაცია ადგენს მხარეთა ვალდებულებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმეები მხარეთ ნების მკიუხედავად, გადაეცეს მედიატორს საქმის მორიგებით დასრულების მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მხარეთა ნების არარსებობა. სასამართლო ვალდებულია მედიაციას დაუქვემდებაროს საოჯახო სამართლებრივი, გარდა კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა საქმეები.

სავალდებულო მედიაციას ხშირად საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მყოფ ნორმად მიიჩნევენ. საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.[100] ასევე ეს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომლითაც ყოველი ადამიანი მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.[101]

სავალდებულო მედიაცია ასევე გათვალისწინებულია 2008 წლის 21 მაისის ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008/52/C დირექტივაში. საბოლოოდ, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 2010 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებისთ განიმარტა, რომ სავალდებულო საამართლო მედიაცია არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან, მედიაციას არ გააჩნია მხარეთათვის სავალდებულო შედეგი, სმაართალწარმოების დაგვიანება არ ხდება მნიშვნელოვანი ვადით და ხარჯები არ არის არათანაზომიერად მაღალი.[102] ეს შეძლება გაზიარებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის მიმართ.

რაც შეეხება სასამართლო მედიაციის წარმოების წესს, რომელშიც საოჯახო მედიაციის წარმოების წესებიც შედის. როგორც უკვე ვიცით, სასამართლოში საქმის შეტანისას მოსამართლე საქმეს გადასცემს მედიატორს, რომელიც ხელს უწყობს მხარეთა შორის შეთანხმებას სადავო საკითხებთან დაკავშირებით. მედიატორს ეგზავნება სასამართლო განჩნების ასლი, რომელიც უნდა შეიცავდეს აუცილებელ და ამომწურავ რეკვიზიტებს მხარეებთან დაკავშირებისათვის. დადგენილია მედიაციის პროცესის ვადები, რომელიც შეადგენს 45 დღეს (სსსკ - 187[5]). თუმცა ბუნდოვანია საიდან ხდება ამ ვადის დინების ათვლა. [103]

---

[100] საქართველოს კონსტიტუცია. საბოლოო ვერსია. თბილისი 2019წ. მუხლი 31.

[101] ადამიანის უფლებათ და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0

[102] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 96.

[103] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 132.

მედიაციის პროცესის განხორციელებისათვის მხარეები ვალდებულნი არიან გამოცხადნენ შეხვედრაზე, რადგან მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულება აბსოლიტურად დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე და მათი გამოუცხადებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს მედიაციის პროცესს.[104] შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია გარკვეული სანქიები გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

ვფიქრობ, რომ იმისათვის, რათა მედიაციის პროცესი შედეგიანი აღმოჩნდეს აუცილებელია მხარეთა უშუალო ჩართულობა და მათი ნება, რომ მოახდინონ დავის შეთანხმებით დასრულება. ამისთვის აუცილებელია, რომ მხარეები გამოცხადნენ დანიშნულ სხდომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესის წარუმატებლად დამთავრების შანსი ძალიან დიდია.

მედიაციისათვის განსაზღვრული დროის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმების მიუწევლობის შემთხვევაში, მოსარჩელეს უფლება აქვს საერთო წესით წარადგინოს სარჩელი, ხოლო მედიაციის პროცესის შეთანხმებით დასრულების შემდგომ სასამართლო ამტკიცებს მორიგების აქტს და წყვეტს საქმის წარმოებას.[105]

ზემოაღნიშნული ნორმით კანონმდებელმა მედიაციის საბოლოო პროდუქტი სასამართლო კონტროლს დაუქვემდებარა, ისევე, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. სასამაღტლო ზედამხედველობის განხორციელება მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე აბსოლიტურად გამართლებულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა დავა საოჯახოსამართლებრივი კატეგორიისაა, სადაც გასათვალისწინებელია არასრულწლოვანის ინტერესები. სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით მოახდინოს მორიგების პირობების დამტკიცება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვანის ინტერესები.[106]

რაც შეეხება განქორწინების მედიაცია, როგორც ასეთი საქართველოს ლეგისლაციაში ნახსენებიც კი არ არის. მის ნაცვლად მოხსენიებულია საოჯახო მედიაციის დავების მედიატორის დახმარებით მოგვარება, რაც საოჯახო მედიაციის სფეროს განეკუთვნება. რადგანაც საოჯახო მედიაცია განქორწინების შედეგად წარმოშობილ საკითხებსაც მოიცავს გამოდის, რომ მასზე პირდაპირი მითითების გარეშეც საქართველოს კანონმდებლობით განქორწინების მედიაციას ლეგისლაციური ბაზა ნამდვილად გააჩნია. სამწუხაროდ უშუალოდ განქორწინების მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში ჯერ არ არსებობს. საქართველოს მედიაციის მარეგულირებელი ნორმები არაფერს ამბობენ იმასთან

---

[104] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 157.

[105] ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018. გვ. 129.

[106] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 83.

დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იყოს მედიატორი განქორწინების საქმეებზე, რა პროფესიულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, იმისტის, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული პროცესში მონაწილე მეუღლეთა და მათი შვილების უფლებები. თუ გავითვალისწინებსთ, რომ განქორწინებათა რიცხვი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, აშკარაა, რომ განქორწინების მედიაციის პროცედურის გამოყენების არეალი ძალიან დიდია და შესაბამისად ამ დარგსაც მაღალი ხარისხის რელევანტურობა გააჩნია. საჭიროა განქორწინების მედიაციის, როგორც ინსტრუმენტის, სამართლებრივ დონეზე უკეთ რეგულირება. იმისათვის, რომ მოხდეს ეფექტური მოწესრიგება, აუცილებელია საზღვარგარეთის პრაქტიკის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია აქცენტის იმ პრობლემეზე გაკეთება, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაშა გამოკვეთილი, მაგალითად მედიატორის როლი განქორწინების მედიაციაში, ბავშვები მედიაციის პროცესში, განქორწიენბის მედიაცია ოჯახური ძალადობის შემთხვევაში და ა.შ.

მედიაციის დანერგვის ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს სასამართლოების განტვირთვაა, რისი საჭიროებაც გამომდინარეობს ბოლო წლების განმავლობაში საქალაქო სასამართლოებში შესული სამოქალაქო საქმეების სტატისტიკური მონაცემებისგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოჯახო დავები, რომელთა განხილვაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად უკვე მედიაციას ექვემდებარება.[107] 2011 წლის მონაცემებით საოჯახოსამართლებრივ დავებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა 2387 საქმე. მართალია, მათი ნაწილი არ ექვემდებარება მედიაციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეუღლეთა განქორწინებასთან (1017 საქმე) და ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებული (611 საქმე) საქმეების უკვე მედიაციის საშუალებით განხილვამ სასამართლოებს დიდი შვება მისცა.[108]

3.2. საოჯახო მედიაცია აშშ-ში

მედიაცია არ ყოფილა დავის გადაწყვეტის პირველი ალტერნატიული საშუალება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინერგა. თუმცა მან სხვადასხვა ალტერნატივას შორის თანდათან გამორჩეული ადგილი დაიკავა. ამის მიზეზი სწორედ მედიაციისთვის დამახასიათებელი ნიშნების მხარეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგება აღმოჩნდა. ამერიკაში მედიაციის დანერგვას და განვითარებას სხვადასხვა ისტორიულმა თუ სამართლებრივმა მოვლენამ შეუწყო

[107] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 36.
[108] (იქვე) გვ. 36, 37.

ხელი.[109] მედიაციის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი მოვლენა გახდა ამერიკაში განქორწინებათა რიცხვის ზრდა, როდესაც ალტერნატიული საშუალებებით საკითხის მოგვარება გახდა აუცილებელი. შესაბამისად მიღებულ იქნა სხვადასხვა გადაწყვეტილება.[110]

საოჯახო, სამეზობლო და სხვა საყოფაცხოვრებო დავების გადაწყვეტის მიზნით მედიაცია აშშ-ში გამოიყენება XX საუკუნის 60-70 წლებიდან, რაც მიზნად ისახავდა, რომ საზოგადოების გარკვეულ ფენებს გაადვილებოდა ყოფითი დავების მოგვარება სასამართლოს ჩარევის გარეშე.[111]

1980 წლიდან ამერიკაში სასამართლო განტვირთვის მიზნით, სასამართლოებმა საოჯახო და სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენება დაიწყეს. და სწორედ ამ დროიდან მოყოლებული მედიაცია სასამართლოს განუყოფელ ნაწილად იქცა. უკვე 1990-იანი წლებიდან სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ყველანაირად უწყობდა ხელს მედიაციის საშუალებით ნებისმიერი კატეგორიისა და სირთულის დავის გადაწყვეტას. უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის დანერგვის მიზანი მხოლოდ საქმეთა ნაკადის მართვა და სასამართლოში განხილვის მომლოდინე საქმეთა რაოდენობის შემცირება არ იყო, როგორც ბევრ სხვა ევროპულ სახელმწიფოში. ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მოქალაქეებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოს გარდა, დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ ფორმებზეც ქონოდათ წვდომა, რომელიც მხარეთა მოთხოვნილებებზე იქნებოდა დამყარებული.[112]

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაცია ხორციელდება კერძო და საჯარო სექტორის მიერ.[113] მედიაციის საჯარო სამართლებრივი სუბიექტები იქმნებიან კანონის შესაბამისად და მათი ავტორიზირება ხორციელდება სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს საფუძველზე. სხვადასხვა შტატში შექმნილია სპეციალიზებული ავტორიზებული სამსახური, რომელიც განიხილავს მაგალითად განქორწინებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საოჯახო სამართლებრივ დავას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაცია შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი. სავალდებულო მედიაცია ხორციელდება მაგალითად არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ურთიერთობათა გადაწყვეტისას. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მეურვეობის ან მზრუნველობის საკითხს,

---

[109] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 94.

[110] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 91.

[111] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 47.

[112] ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018. გვ. 98.

[113] Danny McFadden-Developments in International Commercial Mediation: USA, UK, Asia, India and the European Union. 2017წ.

შვილთა ნახვისა და ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს. სხვა შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ნებისმიერ ინსტანციაში საქმის განხილვისას მოახდინოს საქმის გადაცემა მედიატორისთვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.[114]

2001 წლეს ამერიკაში შეიმუშავეს მედიაციის ერთგვაროვანი აქტი, რომელიც შტატებს შეუძლიათ მიიღონ და აამოქმედონ, როგორც საკუთარი სამართალი. 2008 წლის მდგომარეობით ეს კანონი რვა შტატსა და კოლუმბიის ოლქში. ეს აქტი შეიცავს, როგორც სასამართლოს მიერ მხარდაჭერილ, ასევე კერძო ინიციატივის საფუძველზე გამართული მედიაციის მარეგულირებელ ნორმებს. ამ აქტით გათვალისწინებული იქნა სავალდებულო სასამართლო მედიაცია, მხარეთა ვალდებულება, მათი ნების მიუხედავად, არბიტრის, სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მოახდინონ დავის მედიაციისათვის გადაცემა.[115]

მოქმედი რეგულირების შესაბამისად კალიფორნიის შტატმა სავალდებულო მედიაციას მრავალი ტიპის დავა დაუქვემდებარა, მათ შორისაა საოჯახო დავები. 1990 წელს კალიფორნიის შტატში მიღებული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4607 მუხლი, რომლითაც დაწესდა სავალდებულო მედიაცია ბავშვის მეურვეობასთან და მზრუნველობასთან დაკავშირებულ დავებზე. მხარეებს არ გააჩნიათ ალტერნატივა. სარჩელის აღძვრის შემდეგ საქმე ექვემდებარება სამედიაციო ცენტრისთვის გადაცემას. სავალდებულო მედიაციაშ მონაწილეობისას სასამართლო პროცესის ხანდაზმულობის ვადის დინება მედიაციისს დასრულებამდე რჩება.[116]

სასამართლოს მიერ მხარდაჭერილი მედიაციის დროს სასამართლო წყვეტს მედიაციის რომელი ფორმა იქნეს გამოყენებული. მაგალითად კალიფონიის ერთ-ერთ სასამართლოს წინასწარ აქვს დადგენილი, რომ საოჯახო დავებზე მედიაცია უნდა გაიმართოს Co-mediation ფორმით და მას აუცილებლად ორი მედიატორი, ერთი ქალი და ერთი კაცი უნდა უძღვებოდეს.[117]

როგორც აღვნიშნე მედიაცია აშშ-ში ყველაზე ხშირად გამოიყენება საოჯახო სამართლებრივი დავების დროს, იქედან გამომდინარე, რომ ამერიკაში განქორწინების რიცხვი მკვეთრად იზრდება, იზრდება მეურვეობასთან დაკავშირებით მედიაციის გამოყენების შემთხვევებიც. ტეხასის შტატში, მედიაციის გზით განიხილება განქორწინებასთან დაკავშირებული ყველა დავა. კვლევებმა

---

[114] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 44.

[115] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 90, 91.

[116] ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018. გვ. 100.

[117] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 144.

ცხადყო, რომ 70-80% მხარეების, რომელიც იყენებდნენ სასამართლო მედიაციას, კმაყოფილნი იყვნენ განხილვითაც და შედეგითაც.[118]

ამერიკაში დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა მედიაციისა და მოლაპარაკებების პროცედურების გაიგივება. თუმცა მათ შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. კერძოდ, მოლაპარაკების პროცედურის ძირითადი მიზანი განქორწინების საფუძვლის აღმოფხვრაა და მიმართულია მხარეთა შორის შერიგებისაკენ. მედიაცია ხორციელდება დამოუკიდებელი ნეიტრალური მესამე პირის მიერ და დავის შეთანხმებით დასრულებას ისახავს მიზნად. მხარეები მედიატორის დახმარებით თანხმდებიან ქონების გაყოფის, შვილის მიკუთვნების, შვილთან ურთიერთობის, ალიმენტისა და სხვა საკითხებზე. მხარეთა შეთანხმების მიღწევასთან ერთად ხდება განქორწინებაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკაში მედიაცისს განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, სხვა მნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად იყო ნაკლები ფინანსური დანახარჯი. მედიატორ და განქორწინების პროცესის ფინანსურ მენეჯერ რიჩარდ ჰენდრის ჯორჯიის შტატის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირების მიხედვით წარმოდგენილი აქვს შემდეგი ილუსტრაცია:

- მედიაციის ხარჯები, თუ მედიატორის საათობრივი ანაზღაურებაა 150 აშშ დოლარი: 1) გაცნობა 1,5 საათი - 225$. 2) ინფორმაციის მოგროვება 3 საათი - 450$. 3) Framing 3 საათი - 450$. 4) მოლაპარაკების წარმოება 4 საათი - 600$. 5)დასკვნა და შეთანხმების მომზადება 4 საათი - 600$. მთლიანობაში მედიაციის საერთო თანხა შეადგენს 2,325$.
- სასამართლო ხარჯები იმ შემთხვევისთვის, როდესაც მხარეები კეთილგანწყობილნი არიან და სურთ მორიგება: 1) ადვოკატის კონსულტაცია - 1,500$. 2) უძრავი ქონების შეფასება, Real Estate Appraisal – 400 $. 3) ბაჟზე კონსულტაცია - 200$. 4) ხელმომწერების სხდომა, Signature Session – 200$. 5) განქორწინება - 1,000$. 6) სასამართლოშ სარჩელის შეტანის საფასური - 300$. მთლიანობაში სასამართლოს ხარჯები შეადგენს 3,300$.
- შეჯობრებითობის პრონციპზე დაფუძნებული სამართალწარმოების ხარჯები: 1) ორი ადვოკატი, თითოეულის საათობრივი ანაზღაურება - საშუალოდ 350$. 2)მომზადება და სარჩელის შეტანამდე პროცესი, 15 საათი - 10,500$. 3) სარჩელის შეტანა - 300$. 4) პირველი მოსმენისთვის მომზადება და დასწრება, 12 საათი - 8,400$. 5) მტკიცებულებები, 40 საათი - 28,000$. 6) ხარჯები (დამატებითი ხარჯები სასარჩელო საბუთებისთვის, მოწმეთათვის, ექსპერტებისთვის) – 10,000$. 7) სასამართლო პროცესის წინარე შეხვედრები და მომზადებები, 30 საათი - 21,000$. 8) მორიგება, 10 საათი - 7,000$. 9)

[118] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 74.

შეთანხმების მომზადება, 10 საათი - 7,000$. ამ შემთხვევაში ხარჯი მთლიანობაში შეადგენს 92,200$.[119]

აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ამერიკაში, საოჯახო დავებში მედიაცია ზოგავს როგორც წყვილის ფინანსურ რესურსს, ასევე დროს და ენერგიას.

3.3. საოჯახო მედიაცია გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მედიაციის თანამედროვე მოდელი გასული საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. კერძოდ, სასამართლო მედიაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ევროპული დირექტივის და გერმანიის მედიაციის აქტის მიღებამდეც არსებობდა.[120]

გერმანიაში მედიაციის განვითარება იწყება 1980-იანი წლებიდან. 1985 წელს ახალი საოჯახო მედიაციისა და მსხვერპლთა დაცვის პირველი პროექტის განხორციელებას ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნული პერიოდიდან ხორციელდება ასოციაციებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მედიაციის განვითარების პოლიტიკა. მედიაციის მოძრაობა 1990-იანი წლებიდან გააქტიურდა გერმანიაში საოჯახო დავების მედიაციის მაგალითზე, რასაც ადგილი ჰქონდა კერძო პროექტების სახით სასამართლოების ბაზაზე, რაც მათ შორის დღესაც მოქმედი აპრობირებული მოდელია გერმანიის სასამართლოებში, ისევე როგორც ჩამოყალიბდა პირველი კერძო სამედიაციო ცენტრები.[121] 2000-2002 წლებში სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა ალტერნატიული საშუალებებით დავის გადაწყვეტის საკითხები. 2011 წელს მიღებული იქნა კანონი მედიაციის ხელშეწყობის შესახებ.[122]

2012 წლამდე, საოჯახო და შრომითი დავების გარდა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონმდებლობა იძლეოდა სავალდებულო მედიაციის პროცესის

---

[119] მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013. გვ. 161.

[120] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 55.

[121] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 205.

[122] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 89.

დანიშვნის შესაძლებლობას სამოქალაქო სამართლის ყველა კატეგორიის დავების მიმართ. 2012 წელს მედიაციის ახალი აქტის შემუშავებისას, სავალდებულო მედიაციის საკითხმა დიდი დებატები გამოიწვია გერმანულ იურიდიულ საზოგადოებაში. იდეის მოწინააღმდეგეთა სიმრავლის გამო, კანონმდებლებმა უარი თქვეს სავალდებულო მედიაციაზე და ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელი აირჩიეს.[123] მათ შორისაცაა რა თქმა უნდა საოჯახო სამართლებრივ დავებთან დაკავშირებული საკითხებიც. დღეისათვის გერმანიის კანონმდებლობა აღარ იცნობს სავალდებულო მედიაციის ცნებას, გარდა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტისა, რომელიც, მართალია იყენებს მედიაციის ტექნიკას, მაგრამ, ვინაიდან მისი პროცესი ხასიათდება მტკიცებულებების შეფასებით, იმართება ჩვეულებრივ სასამართლო დარბაზში და მოსამართლე არის წამყვანი პირი, ითვლება, რომ იგი არის სასამართლოს შემადგენელი ნაწილი, განსხვავებით სამედიაციო ცენტრებისა.

დღეისათვის გერმანიაში აღარ არიან ვალდებულები მიმართონ მედიაციას სასამართლოში სარჩელის შეტანამდე. თუმცა ახალი აქტით სასარჩელო მოთხოვნაში უნდა იყოს განმარტებული ქონდათ თუ არა მხარეებს მედიაციის მცდელობა, თუ არა რატომ არ მიმართეს მხარეებმა ამ ინსტიტუტს, რა უშლით ხელს ამაში. ამასთან კანონმდებელმა გერმანიის ადვოკატთა პროფესიულ რეგულაციებში შეიტანა ცვლილება და ადვოკატებს დააკისრა ვალდებულება, რომ გაუწიონ საკუთარ კლიენტებს კონსულტაცია მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების თაობაზე, მათ შორის საოჯახო სამართლებრივ დავებზე. კერძოდ, ადვოკატი ვალდებულია აუხსნას საკუთარ კლიენტს მედიაციის უპირატესობები და განიხილოს მისი გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.[124] ვფიქრობ, რომ გერმანული კანონმდებლობის ეს შემთხვევა ხელს შეუწყობს საოჯახო მედიაციის კიდევ უფრო განვითარებას და პოპულარულობას. ჩემი აზრით, საქართველოშიც კარგი იქნება მსგავსი დათქმის არსებობა, რათა ხელი შეეწყოს მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ცნობადობის გაზრდას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

მედიაციის აქტის მიღებამდე საოჯახო დავებზე მოსამართლეებს შეეძლოთ, რომ დამოუკიდებელი და არასავალდებულო მედიაციის ინსტიტუტების საინფორმაციო შეხვედრებზე მხარეთა დასწრების დავალება. ახალი ცვლილებებიც მხარს უჭერს მოსამართლეების მიერ მოდავე მხარეებისათვის მედიაციის შეთავაზებას, მაგრამ აღარ ითვალისწინებს მისი დავალების შესაძლებლობას. შესაბამისად გერმანიაში საოჯახო დავებზე გამართული მედიაციის პროცესი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მხარეთა ნებას, მათ შორის, საინფორმაციო შეხვედრაშიც მონაწილეობა. ამასთან, მასში მონაწილეობის შემთხვევაშიც მხარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს თქვას

[123] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 56.

[124]დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2014წ. გვ. 83.

უარი და საქმე დაუბრუნოს სასამართლოს განსახილველად.[125] ახლად მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეების საპროცესო კოდექსში შიცვალა ის, რომ მედიაციის პროცესის საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობაზე დაუსაბუთებელ უარს შესაძლოა მოყვეს ფინანსური სანქცია.

გერმანიაში მედიატორების მიმართ მოქმედებს სხვადასხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მედიატორად შეუძლია იმუშაოს ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს, ეკონომისტებს და იურისტებს, რომელთაც აქვთ კერძო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კომპანიებში მუშაობის გამოცდილება.[126]

გერმანიაში საოჯახო მედიაცია მედიაციის ყველაზე განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. სტატისტიკის მიხედვით წლის განმავლობაში საშუალოდ 25000 განქორწინების საქმე განიხილება მედიატორის მიერ. გერმანიაში მიღებული საოჯახო საპროცესო კანონის შესაბამისად, მშობლების მიერ შვილთან დაკავშირებული საკითხების მედიაციის გზით გადაწყვეტა შესაძლოა მოხდეს შესაბამისი ახალგაზრდული სამსახურის მიერ. შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მორიგების სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლოს გარეთ. საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვისას მხარე ვალდებულია, მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით დაესწროს საინფორმაციო შეხვედრას.[127]

3.4. საოჯახო მედიაცია ავსტრიაში

ავსტრიაში ჯერ კიდევ 1999 წელს მიიღეს საოჯახო დავების მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები. 2004 წელს კი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე პირველმა მიიღო კანონი მედიაციის შესახებ. ეს რეგულაცია დღემდე წარმოადგენს ყველაზე ვრცელ და დეტალურად მედიაციის მაგალითს, რაც ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი ევროპის წევრ ქვეყნებში, რადგან უმეტეს შემთხვევებში მედიაციის ასეთ დეტალურ საკანონმდებლო ჩარჩოებში ჩასმას უმრავლეს ევროპულ ქვეყნებში არ მიესალმებიან.[128]

---

[125] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 57.

[126] მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი 2017წ. გვ. 54.

[127] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 97.

[128] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 192.

უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიული კანონი ევროპის მასშტაბით მედიაციის მარეგულირებელი ნორმების კოდიფიცირების პირველ მცდელობად ითვლება. ჯერ კიდევ ევროპული დირექტივების მიღებამდე და ამოქმედებამდე ავსტრია იყო ერთადერთი ევროპული ქვეყანა სადაც მედიაციის შესახებ მიიღეს კანონმდებლობა, რომელიც 2004 წლისთვის უკვე ძალაში იყო შესული.[129] ავსტრიის კანონი მედიაციის პროცესის ძალზედ კარგ და დეტალურ განმარტტებას იძლევა, კერძოდ: მედიაცია წარმოადგენს მხარეთა ნებაყოფლობით საქმიანობას, რა დროსაც, სპეციალური განათლების მქონე ნეიტრალური პირი (მედიატორი) აღიარებული მეთოდების გამოყენებით აწარმოებს მედიაციაში ჩართულ მხარეებთან სისტემატიურ კომუნიკაციას იმ მიზნით, რათა მხარეებმა საკუთარი პასუხისმგებლობით მიაღწიონ საკუთარი კონფლიქტის შესახებ შეთანხმებას.[130]

ავსტრიაში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომ მედიაცია მხარეთა ნებაყოფლობით პროცესს წარმოადგენს. წახალისებულია კერძო, არასასამართლო მედიაცია, როდესაც მხარეებს სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე შეუძლიათ ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის გადსაწყვეტად დავის ალტერნატიული ფორმა აირჩიონ.

ავსტრიაში მედიატორთა ერთიან რეესტრს და მედიატორთა განათლების პროგრამებს კურირებს იუსტიციის სამინისტრო, დღეს მოქმედი სტანდარტით მედიატორი შეიძლება გახდეს პირი, ვისაც შეუსრულდა 28 წელი, გააჩნია პროფესიული კვალიფიკაცია და პროფესიული დაზღვევა და არ არის ნასამართლევი. მსგავსი კვალიფიკაციის პირები იუსტიციის სამინისტროს შეჰყავს მედიატორთა რეესტრში 5 წლის ვადით, ხოლო შემდგომ დამატებით 10 წლის ვადით უგრძელებს სტატუსს, სამინისტრო არეგულირებს მათ შორის იმ ინსტიტუციების აკრედიტაციას, ვინც უფლებამოსილია ჩაატაროს სასწავლო ღონისძიებები მედიატორობის მსურველთათვის.[131]

უნდა აღინიშნოს, ავსტრიაში მოქმედი სასამართლო მედიაციის ფორმა, რომელიც მხოლოდ საოჯახო დავებზე კონცენტრირდება და მხარეებს, რომლებიც მონაწილე არიან საოჯახო დავის, უშუალოდ სასამართლოში დავის სამართლებრივად გადაწყვეტამდე უწევთ შემათანხმებელი პროცედურების გავლა, რაც ავსტრიის მაგალითზე სასამართლო მედიაციის ფორმას წარმოადგენს.[132]

ავსტრალიის მედიატორების ინსტიტუტის მედიატორის სახელმძღვანელო პრინციპების მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ მედიატორმა უნდა დააკმაყოფილოს

---

[129] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010. გვ. 78.

[130] Markus Roth. David Gherdane. Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice. 2013

[131] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. 193.

[132] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 98.

მედიაციის მხარეთა მოლოდინი კონფიდენციალურობის საკითხთან დაკავშირებით. ეს დამოკიდებულია როგორც მხარეთა შორის შეთანხმებაზე, ასევე მედიაციის გარემოებებზე. საოჯახო საქმის კონტექსტში, მედიატორის ერთ-ერთი როლია შეინარჩუნოს პროცესის კონფიდენციალურობა.[133] მედიატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება თუ ის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას დაარღვევს.

ავსტრიაში საოჯახო დავების მედიაციის გზით მორიგება შესაძლოა სახელმწიფოს მიერ დაფინანსდეს. მათ შორის მაშინაც, თუ მედიაციის პროცესს არასამეწარმეო იურიდიულ პირად დაარსებული ინსტიტუტი ახორციელებს. დაფინანსებისთვის მოდავე მხარე მიმართავს კონკრეტულ ინსტიტუტს და თუ დავა განსაზღვრულ კრიტერიუმებში ჯდება, თვითონ ინსტიტუტი მიმართავს სახელმწიფოს. ამ დროს მედიაციის პროცესი შეიძლება დაფინანსდეს სრულად ან ნაწილობრივ.[134]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით უფასო იურიდიული დახმარების საკითხთა წრეს დაემატა მედიაციის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან უფასო იურიდიული დახმარების პროცედურები. უფასო იურიდიული დახმარება მოიცავს კონსულტაციას სასამართლოსათვის მიმართვამდე პერიოდისათვის, მათ შორის, დავის ალტერნატიული საშუალებით რეგულირების შესახებ კონსულტაციას და არა თვითონ მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისათვის საფასურს. ამ უკანასკნელს ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ საოჯახო დავებზე, რომლის პირობებსაც საოჯახო დახმარების აქტი აწესრიგებს.[135]

საგულისხმოა ავსტრიული კანონმდებლობის მიდგომა მედიაციის ფრთხილი და აუჩქარებელი განვითარების პოლიტიკის შემუშავების კუთხით. განიხილება სავალდებულო მედიაციის შემორება ან გერმანული მოდელის მსგავსად საოჯახო დავებზე, კერძოდ განქორწინების შესახებ წარმოშობილ დავებზე, საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის დავალება.[136]

ავსტრიაშ მედიაცია ყველაზე ხშირად გამოიყენება საოჯახო დავების გადაწყვეტის მიზნით. აღსანიშნავია, რომ საოჯახო დავების 95% რეგულირდება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებით.[137]

---

[133]დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 38.

[134] Markus Roth. David Gherdane. Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice. 2013

[135] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 74.

[136] გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010 წ. გვ. 79.

[137] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012წ. გვ. 122.

3.5. საოჯახო მედიაცია საფრანგეთში

მედიაცია საუკუნოვან ტრადიციას ითვლის საფრანგეთში, თუმცა მისი კანონის დონეზე რეგულირება 1990 წელს განხორციელდა. 2011 წელს საფრანგეთის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლითაც მოახდინა მედიაციის შესახებ ევრპული დირექტივის ფრანგულ კანონმდებლობაში დამყარება. მედიაციის ფორმების კუთხით საფრანგეთშ მედიაციის ორი ფორმა არის დამკვიდრებული, ესაა კერძო მედიაცია, სახელშეკრულებლო მედიაცია და სასამართლოსთან არსებული მედიაცია.[138]

კერძო მედიაციას მხარეებმა ნებისმიერ დროს შეილება მიმართონ და საკუთარი შერჩევით შეთანხმდნენ კონკრეტულ მედიატორზე თუ სამედიაციო ცენტრზე, რომელიც მრავლად ფუნქციონირებს საფრანგეთში, ხოლო რაც შეეხება სასამართლოსთან არსებული მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა, ეს დამოკიდებულია მხარეების ნებაზე, რომლებიც სასამართლო დავაში არიან ჩართული, რა დროსაც მოსამართლე მხარეების ნების შესაბამისად არჩევს მედიატორს და ახდენს საქმისწარმოების მედიატორთან გადამისამართებას, ხოლო მიმდიანრე სასამართლო საქმისწარმოებას, მედიაციის ვადით შეჩერებას.[139]

როგორც უკვე აღვნიშნე საფრანგეთში მედიაციის განხორციელება ხდება სასამართლოს გარეთ ან სასამართლო სამართალწარმოების პროცესში. სასამართლოს გარეშე მედიაციას მხარეები მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ სასამართლო სამართალწარმოებისთვის თავის არიდება და განქორწინებისა და სხვა საოჯახო ურთიერთობების გადაწყვეტა. საფრანგეთში არ არსებობს სასამართლოს გარეშე მედიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი.[140]

საფრანგეთში სასამართლო მედიაციის განხორციელება უკავშირდება მხოლოდ მხარეთა ნებას. სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გადასცეს საქმე მედიატორს მხარეთა სურვილის შემთხვევაში. მედიატორის შერჩევისას აუცილებელია მხარეთა თანხმობა. აუცილებელია, რომ მედიატორს გააჩნდეს სათანადო ცოდნა და გამოცდილება დავის საგანთან დაკავშირებით, განსაკუთრების საოჯახო დავებთან მიმართებაში. უნდა ქონდეს პრაქტიკული გამოცდილება მედიაციის სფეროში და ყურადღება უნდა მახვილდებოდეს მის

---

[138] Veronique Rousseau-Family Mediation in France. When the Assessment of Needs and Resources Questions Field Practices. 2013.

[139] ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018წ. გვ. 204.

[140]ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 86.

მიუკერძოებლობაზე. მხარეთა ნების არსებობის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მედიატორის დანიშვნის შესახებ. განუსაზღვრავს მათ საკითხთა წრეს და სავარაუდო დროს, რა ვადაში უნდა დაუბრუნდეს საქმე სასამართლოს. მედიატორი უფლებამოსილია მოახდინოს საქმის მორიგება მისთვის საქმის გადაცემიდან 3 თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ ერთხელ, 3 თვით. მედიატორი ვალდებულია უფლებამოსილების შესრულების შემდეგ შეატყობინოს სასამართლოს მედიაციის პროცესის შედეგის შესახებ და სასამართლოს გადასცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალსწინებული შეთანხმება. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მიერ ხდება, რომელიც წყვეტს საქმის წარმოებას და ამტკიცებს მორიგების აქტს.[141]

საფრანგეთის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, რომ დავის მხარეებს შესთავაზოს მედიაციის პროცესში მესამე პირის ჩართვა. ეს დაეხმარება მხარეებს მშობლის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შეთანხმებას. სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს საოჯახო მედიაციის საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც ემსახურება მოდავე მხარეებისათვის დავის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, უფლებებისა და მოვალეობების განმარტებას და მორიგებით დასრულების შედეგების განმარტებას. შემდეგ ასეთი ნორმა დამატებული იქნა განქორწინების საქმის განხილვის პროცესში.[142]

2004 წლიდან ახალი საოჯახო სამართლის საპროცესო კანონი ძალაში შევიდა, რომლითაც გამოცხადდა რომ, მედიაცია საოჯახო სამართლებრივი დავების წარმოებისა და გადაწყვეტის უმთავრესი საშუალება იყო. სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა ნების არსებობის ნებისმიერ დროს, ნებისმიერი კატეგორიის საქმე გადასცეს მედიატორს. მიუხედავად პროფესიული მედიაციის დაარსებისა, საოჯახო მედიაციის წარმატება არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორსაც უფლებამოსილი პირები ელოდნენ. საფრანგეთში საოჯახო სამართლებრივი დავის მედიაციის პროცესით განხილვის მაჩვენებელი სხვადასხვა სტატისტიკის მიხედვით დაბალია, წარმოდგენილი მაჩვენებლის მიხედვით 2001 წელს მოდავე მხარეების მხოლოდ 10% მიმართა მედიაციას.[143] როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ვფიქრობ რომ საზოგადოების ინფორმირება მედიაციის პოპულარობის ზრდის საუკეთესო საშუალებაა. საფრანგეთში 2002 წელს კანონმდებლობით გათვალისწინებული საინფორმაციო შეხვედრის გამართვა მხარეებისათვის დავის დაწყებამდე ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

---

[141] Veronique Rousseau-Family Mediation in France. When the Assessment of Needs and Resources Questions Field Practices. 2013.

[142] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 29.

[143] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 85.

3.6. საოჯახო მედიაცია ინგლისში

ინგლისში მედიაცია არ წარმოადგენს დავების გადაწყვეტის ახალ ინსტრუმენტს. თუუმცა საკანონმდებლო დონეზე 2011 წელს მოხდა მისი რეგულირება სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და საოჯახო დავების წარმოების კოდექსში. ინგლისში მედიაციის ორი ფორმა არის დამკვიდრებული: კერძო მედიაცია და სასამართლოსთან არსებული მედიაცია. ინგლისში კანონმდებლობით სასამართლო მედიაცია არ არის გათვალისწინებული, თუმცა ის მრავალ სასამართლოში აპრობირებული ფორმაა. ინგლისში მხარე, რომელიც უმიზეზოდ აცხადებს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარს, შეიძლება დაექვემდებაროს ფინანსურ სანქციას.[144]

ინგლისში საოჯახო მედიაციას დიდი ადგილი უჭირავს განქორწინებასთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელების პროცესში. საოჯახო კანონი, რომელიც 1996 წელს მიიღეს, მიზნად ისახავს, რომ შემცირდეს უარყოფითი ეფექტები განქორწინების პროცესში. მან მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს განქორწინებასთან დაკავშირებული უარყოფითი გავლენა მხარეებსა და ოჯახის წევრებზე, უნდა გაზარდოს განქორწინების შმედგომი ურთირეთობების პოზიტიურად გაგრძელების ალბათობა. ამავე კანონით, განქორწინების მსურველი მეუღლე ვალდებულია დაესწროს საინფორმაციო შეხვედრას განქორწინების შესახებ სარჩელის წარდგენამდე სამი თვით ადრე. საინფორმაციო შეხვედრაზე ხდება საოჯახო მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მხარითვის. კანონით განმცხადებელი ვალდებულია დავის დაწყებამდე მიმართოს სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ მედიატორს, მედიაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მედიატორი ვალდებულია, რომ მიაწოდოს განმცხადებელს ინფორმაცია მედიაციის დადებითი მხარეების შესახებ, ეს ხდება მოსამზადებელ სხდომაზე. ამავე კანონით საოჯახო მედიაცია სავალდებულო არ არის. მხარეებს მხოლოდ სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ დავის გადაწყვეტის უფრო იაფ და ეფექტურ საშუალებას.[145]

ინგლისში სასამართლოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები ავალდებულებს ადვოკატებს კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევას, იმასთან დაკავშირებით, თუ დავის გადაწყვეტის რომელი ალტერნატიული საშუალება იქნება მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი.[146]

---

[144] Bevan Marten-Mediation in England and Wales: Regulation and Practice. 2013.

[145] დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013წ. გვ. 25.

[146] ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016. გვ. 113.

ბოლო წლების განმავლობაში მედიაციის გამოყენება ინგლისში საკმაოდ გაიზარდა. სასამართლოს შეუძლია მედიატორს გადასცეს საქმე არამხოლოდ საქმის განხილვის დაწყებამდე, არამედ ნებისმიერ დროს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. 2011 წელს მიღებული საოჯახო საპროცესო წესების შესაბამისად მოსამართლეს შეუძლია მხარეებს მოუწოდოს მედიაციისაკენ.[147]

რეფორმების შედეგად ინგლისში განქორწინების მედიაციის რაოდენობა 400-დან 14500-მდე გაიზარდა. ამათგან საქმეთა ორი მესამედი დასრულდა წარმატებით.[148]

[147] ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016წ. გვ. 88.
[148] Bevan Marten-Mediation in England and Wales: Regulation and Practice. 2013.

დასკვნა

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - მედიაცია, ყველაზე ეფექტური და წარმატებული საშუალებაა, კონფლიქტში მყოფი მხარეების, სადავო საკითხების ნაკლები დროის და ფინანსური დანახარჯებით მოგვარებისათვის. ამასთან ერთად მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, რომ შეინარჩუნონ ერთმანეთის მიმართ ცივილური დამოკიდებულება, რაც ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში სხვადასხვა კვლევების გამოყენებით გამოვლენილი შედეგებით დასტურდება.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვა საქართველოში პროგრესულ ნაბიჯად უნდა იქნეს აღიარებული. აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება რეალურად ხელს უწყობს სასამართლოს განტვირთვას.

სამაგისტრო ნაშრომში სხვადასხვა მოსაზრებებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით გადმოცემულია საოჯახო მედიაციის, როგორც ყოველდღიურად მოხმარებაში არსებული სამართლებრივი ინსტიტუტის რანგში აყვანა, რაც მისადმი დაინტერესებას გაზრდის და საზოგადოებას ექნება ნდობა ამ ინსტიტუტის მიმართ.

საოჯახო მედიაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე დაამტკიცა, რომ ის არის დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება და იმკვიდრებს თავს, როგორც ყველაზე მოთხოვნადი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება.

საოჯახო მედიაცია პირდაპირ მიმართულია განქორწინების შედეგად წარმოშობილი სადავო საკითხების უმტკივნეულოდ, დავის განხილვის გარეშე მოგვარებისაკენ, სადაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული მეუღლეთა და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის დამატებითი მექანიზმები. მედიაციის წარმატებით დასრულება აძლიერებს ნდობას ინსტიტუტის მიმართ და შეიძება ითქვას, რომ მომავალი დავებისთვის ერთგვარი პრევენციული მნიშვნელობა აქვს.

როგორც არაერთხელ აღვნიშნე, მედიაციას ყველაზე ეფექტური შედეგი სწორედ ოჯახური კონფლიქტების მოგვარებისას აქვს, რადგანაც ოჯახური კონფლიქტები ძალიან სენსიტიური თემაა. ამიტომ ჯოს სასამართლო ფორმალობების გვერდის ავლა და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა, რადგან ეს უკანასკნელი დადებითად მოქმედებს მოდავე მხარეების სამომავლო მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნებაზე.

მედიაცია მხარეებს შესაძლებლობას აძლევს დავა მოაგვარონ იურისტების მიდგომებისა და სასამართლო პროცესის გარეშე. ხშირად ადვოკატები იმდენად არიან ორიენტირებულნი დავის გამარჯვებით დასრულებაზე, რომ კარგავენ უნარს შეაფასონ მხარეთა ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობები. მედიატორები, ადვოკატებისგან განსხვავებით, სხვაგვარად აფასებენ თითოეული მხარის პოზიციის სიძლიერესა და სისუსტეს, რასაც შედეგად შეუძლია შეცვალოს მხარის შეხედულება დავის საბოლოო გადაწყვეტაზე სასამართლოში და იძლევა შესაძლებლობას

მიღებულ იქნას მხარეთათვის ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილება. სწორედ ეს არის ერთ-ერთი უპირატესობა მედიაციისა, რომ ის ხშირად ისეთი შედეგით სრულდება, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღებია. თუ სასამართლოში არის მოგებული და წაგებული მხარე, მედიაციაში გვაქვს შეთანხმება, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღებია. ასევე როდესაც სასამართლოში გადაწყვეტილებას იღებს მესამე პირი - მოსამართლე, მედიაციის შემთხვევაში შეთანხმება შედგება თუ არა ეს სრულად მხარეებზეა დამოკიდებული. მედიაციის პროცესი ვერ დასრულდება ისეთი შედეგით, რომელიც მხარეებს არ უნდათ. ერთ-ერთი უპირატესობა, რაც დავის სასამართლოში გადაჭრის პროცესთან მიმართებაშია ემოციური საკითხებია, რისი გათვალისწინებაც მედიაციას შეუძლია, მაგალითად საოჯახო დავებიც. როდესაც ისინი ერთი მაგიდის ირგვლივ სხდებიან, სწორედ ემოციური საკითხების გათვალსიწინებით, ისინი მედიაციიდან შესაძლოა გაცილებით კმაყოფილნი წავიდნენ, ვიდრე სასამართლოდან.

მედიაცია ეს არის პროცესი, რომელიც დავის მშვიდობიანად მოგვარებას გულისხმობს და რომლის მიზანი მხარის ინტერესების გამოკვეთა და ამ ინტერესების დაკმაყოფილებისთვის მათვის მისაღები შეთანხმების მიღწევაა. სწორედ მედიაციის პროცესი აკეთებს აქცენტს მხარეების ინტერესებზე.

მედიაცია მხარეებს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, მას არ აქვს ფორმალური წესები და შეზღუდვები. პროცესსაც და შედეგსაც თავად მხარეები აკონტროლებენ. ის ნაკლებ ხარჯიანია და ნაკლებ დროს მოითხოვს. დავების უმეტესობა არასწორი კომუნიკაციის შედეგია, მედიაცია კი სწორი კომუნიკაციის ხელოვნებაა.

ამ უპირატესობების მიუხედავად, საქართველოში მედიაციის პროცესის მიმართვიანობისადმი მოსახლეობის მაჩვენებელი დაბალია, რაც საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონით აისახება. მართალია, რომ საქართველოში საოჯახო დავებზე მედიაციის პროცესი სავალდებულოდ ითვლება, მაგრამ არსებობს გამონაკლისი საოჯახო დავები, რომლებზეც სავალდებულო მედიაცია არ ვრცელდება, და რომლის დროსაც მედიაციის გამოყენება უამრავ პრობლემას გადაჭრიდა.

არაერთი სტატისტიკა არსებობს, რომლითაც დასტურდება, რომ მედიაციის უმეტესობა მორიგებით მთავრდება. საჭიროა მედიაციის მიმართვიანობის შედეგის გაზრდა, ცნობიერების ამაღლების მიზნით არაეთი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. მედიატორებიც უნდა ცდილობდნენ მოაწონონ მხარეებს პროცესი. კარგი იქნება სხვადასხვა სახის მედიაკამპანიები.

როგორც უკვე აღვნიშნე, საოჯახო მედიაცია პირდაპირ მიმართულია განქორწინების შედეგად წარმოშობილ დავებთან. საქართველოში, განქორწინების მედიაცია, როგორც ასეთი ნახსენები არ არის, მის ნაცვლად მოხსენებულია საოაჯხო სამართლებრივი დავების მედიატორის დახმარებით მოგვარება, რაც საოჯახო მედიაციის სფეროს განეკუთვნება. იმის გათვალისიწინებისთ, რომ განქორწინების რიცხვმა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში თითქმის სამჯერ იმატა, აშკარაა, რომ განქორწინების მედიაციის პროცედურის გამოყენების არეალი ძალიან

დიდია. ჩანს, რომ საჭიროა განქორწინების მედიაციის სამართლებრივ დონეზე უკეთ რეგულირება. მედიაციის მომწესრიგებელი მუხლები არაფერს ამბობენ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იყოს მედიატორი განქორწინების პროცესში, რა პროფესიულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული პროცესში მონაწილე მეუღლეთა და მათი შვილების უფლებები. ეს ყველაფერი საოჯახო სამართლებრივი დავების ბევრად უკეთ გადაწყვეტამდე და ქართული სამართლებრივი სივრცის განაჯსაღებამდე მიგვიყვანს.

მიუხედავად საკანონმდებლო მოწესრიგებისა და პრაქტიკული საქმიანობის კუთხით არსებული გარკვეული ხარვეზებისა, მთლიანობაში მედიაციის ინსტიტუტის შემოღება უდავოდ პროგრესულ ნაბიჯად უნდა იქნეს მიჩნეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2018 წ.
2. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 2019 წ.
3. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ. თბილისი 2018 წ.
4. გიორგი ცერცვაძე - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2010 წ.
5. ი.ყანდაშვილი საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2018 წ.
6. ა.წულაძე - სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016.
7. ა.გურიელი. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2018 წ.
8. ნ.ლიპარტია - საოჯახო მედიაცია - საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის ჯურნალი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016 წ.
9. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2012 წ.
10. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2013 წ.
11. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2014 წ.
12. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2015 წ.
13. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2016 წ.
14. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2017 წ.
15. ს.მ. ოსტერმილერი. დ.რ. სვენსონი - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო. გამომცემლობა „მერიფიანი“. თბილისი 2014 წ.

16. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. დავის ალტერნატული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბილისი 2013 წ.
17. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. თბილისი 2017 წ.
18. სოფიო ტყემალაძე - მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე. ევროკავშირი საქართველოსთვის. გამოცემულია ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამით საქართველოში. თბილისი 2016 წ.
19. კანონის უზენაესობა - სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის. Raoul Wallenberg institute. საავტორო უფლება - ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი 2012 წ.
20. ს.ონიანი - მედიაცია - მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თბილისი.
21. მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი 2017 წ.
22. USAID-ქალი და უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი. ვიცოდეთ ჩვენი უფლებები. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“. 2016 წ.
23. ICCA-კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო. სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-ორკის კონვენციის განმარტებაზე. გამოცემულია კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს მიერ. 2013 წ.
24. პელაგია მახაური, ბექა ხიტირი. განქორწინების მედიაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიული ფაკულტეტი. მე-7 სემესტრი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ.
25. სტატია, სასამართლო ქრონიკა - მედიაციის ინსტიტუტი, სიახლე ქართულ მართლმაჯულებაში. 2011 წ.
26. კონსტანტინე კორკელია. ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. სტატიათა კრებული. თბილისი 2014 წ.
27. Markus Roth. David Gherdane. Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice. 2013.
28. Bevan Marten-Mediation in England and Wales: Regulation and Practice. 2013.
29. The symposium on standards of practice (aba house of delegates). Modes standards of practice of family and divorce mediation. 2001.
30. Veronique Rousseau-Family Mediation in France. When the Assessment of Needs and Resources Questions Field Practices. 2013.
31. სტატია. Садовникова М.Н. Архипкина А.С. – семейная медиация

http://uventa38.ru/index.php/nashi-publikatsii/128-semejnaya-mediatsiya-ponyatie-osnovnye-kharakteristiki-obzor-protsedur-mediatsii

32. სტატია - Joe Dillon, divorce mediator. “10 Biggest Divorce Mediation Benefits” https://www.equitablemediation.com/meet-the-team/joe-dillon-divorce-mediator
33. სტატია - Brian James – divorce mediator. „What Is Divorce Mediation?”

https://www.mediate.com/author/Brian-James/850

34. Emili Doskow. Divorece Mediation Basics. Overview of using Mediation to resolve divorce.

https://emilydoskow.com/mediation/divorce/

35. Danny McFadden-Developments in International Commercial Mediation: USA, UK, Asia, India and the European Union.

https://www.imimediation.org/member/danny-mcfadden/

36. კონფლიქტის გადაწყვეტის ტაქტიკები და მედიაციის პრინციპები. 2017წ. http://mediationstudent.blogspot.com/2017/06/blog-post.html
37. მედიაცია-კეთილი ნების შუამავლობისა და პროფესიონალი მომრგიებლის ინსტიტუტი. 2012წ. www.news.com/article/mtavari/sazogadoeba/3532
38. კონფლიქტების გადაწყვეტის ტაქტიკები და მედიაციის პრინციპები. http://mediationstudent.blogspot.com/2017/06/blog-post.html
39. ადამიანის უფლებათ და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0
40. მედიაციის სტილები http://mediationstyles.blogspot.com/2017/06/blog-post.
41. ისტორია 2014 წ. - https://sites.google.com/site/brazilia111222/-announcements
42. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია. http://mediation.ge/ka/rules-of-mediation
43. საოჯახო დავების რეგულირება. http://flg.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/litigation/family-court/
44. სანოტარო მედიაცია 2017 წ. https://kartlosinews.files.wordpress.com/2015/1/mediaciis-centri-2014.pdf
45. საქართველოს პარლამენტი. http://parliament.ge/ge/law/7675/15264